# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.

№ 78 (5935)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!



„ჩემი კონკურენტები არიან ადამიანები, რომლებსაც ბოლო ოთხი წლის მანძილზე მხოლოდ ეძინათ“



3

## გაუგებრობა?!



4

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პრეზიდენტს გამოუჩნდნენ მოჩხიკინე ოპონენტები, ასე ვთქვათ, საქართველოს არაკეთილისმსურველი ადამიანები, რომელთაც ფოთის ეკონომიკური სასწაული სასწაულებრივ გაუგებრობად, ფულის გათეთრების წყაროდ და ეროვნული ეკონომიკის განადგურების მორიგ მცდელობად აღიქვეს...

## ქართული ემიგრაციის დიდი მოღვაწე

8



- მოსამართლემ მიცვალებულს თანხის გადახდა დააკისრა
- „მიცვალებული“ გაცოცხლდა, „მკვლელი“ კი ციხეშია

15

## ქართული ოპოზიცია მეთვალყურეებს არ ენდობა

11

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დაიწყო ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება

10



РОСБАЛТ

# დღის მაჯისცემა

**ქართულ პოლიტიკურ არენაზე ყოველთვის იქნება მოთხოვნა, რომ პოლიტიკაში იყოს ძალიან ბევრი ნინო ბურჯანაძე, — განაცხადა მათიას იორშმა, გუშინწინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე**



**⊙ შეფასება**

## მათიას იორში: ბურჯანაძე იყო ადამიანი, რომელიც დიალოგის წარმართვას ცდილობდა

**— ქართულ პოლიტიკურ არენაზე ყოველთვის იქნება მოთხოვნა, რომ პოლიტიკაში იყოს ძალიან ბევრი ნინო ბურჯანაძე, — განაცხადა ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის ხელმძღვანელმა მათიას იორშმა, გუშინწინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.**



ბრიფინგი ბურჯანაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ გაიმართა და საარჩევნო თემატიკას ეძღვნებოდა, თუმცა იორშმა განაცხადა, რომ თავს ვალდებულად მიიჩნევდა, თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა ბურჯანაძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, არ მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

— იმედია, ეს შეფასება ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევად არ ჩამეთვლება. მინდა ვთქვა, რომ ქართულ პოლიტიკას ოპოზიციასთან დიალოგი ძალიან უჭირს და ბურჯანაძე იყო ის ადამიანი, რომელიც ცდილობდა დიალოგის წარმართვას. თუ ეს დიალოგი ვერ შედგა, ეს პირადად მისი ბრალი არ არის, — აცხადებს იორში.

მისი თქმით, მსგავსი რამ ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება და ასეთი რამ საგანგაშო არ არის.

იორშის თქმით მთავარი ისაა, რომ ბურჯანაძე არის ძლიერი პოლიტიკოსი, იგი სჭირდება საქართველოს.

— დარწმუნებული ვარ, ასე ფიქრობს ყველა. უბრალოდ, მე ჩემი პოზიცია დავაფიქსირე, — განაცხადა იორშმა.

ჯი-ეიჩ-ენი

**⊙ კრიტიკა**

## პუტინის გადაწყვეტილებები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას ხელს არ უწყობს

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.

**სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთს დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დენის კიფი ეწვია. ბრიტანელი დიპლომატი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საგანგებო საქმეთა მინისტრს ბორის ჩოჩიევს შეხვდა.**

შეხვედრაზე, სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ცნობით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში არსებული სიტუაცია განიხილეს.

— ვისაუბრეთ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებათა პროცესის რაც შეიძლება მოკლე დროში განახლების საჭიროებაზე. ასევე რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ბოლო დროს მიღებულ გადაწყვეტილებებზე, — განაცხადა დიდი ბრიტანეთის ელჩმა შეხვედრის დასრულების შემდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი აზრით, ვლადიმერ პუტინის მიერ მცირე ხნის წინათ მიღებული გადაწყვეტილებები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებას ხელს ნამდვილად არ უწყობს.

თავის მხრივ, ჩოჩიევმა განაცხადა, რომ პუტინს ეს განკარგულებები „ტყუილ-უბრალოდ არ გაუკეთებია“.

— ქართული მხარე, საქართველოში ვარდების რევოლუციის დასრულების შემდეგ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების მოლაპარაკებათა პროცესიდან გამოვიდა, მიატოვა ასევე ქართულ-რუსული მოლაპარაკებების დროს მიღწეული ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური აღდგენის სარეაბილიტაციო პროცესი, გამოვიდა ასევე დაგომისის ხელშეკრულებიდან, — განაცხადა ჩოჩიევმა.



მისი თქმით, ალბათ, ქართველები ფიქრობენ, რომ ოსებისთვის პრობლემების შექმნით, „ჩვენ თვითონ მოვითხოვთ საქართველოში დაბრუნებას“.

— რუსეთი კი როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, თავის მოვალეობებს პირნათლად ასრულებს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ღირსეული ცხოვრების პირობები შეუქმნას, — განაცხადა ჩოჩიევმა.

ჯი-ეიჩ-ენი

**⊙ სიხარულის მიტინგი ცხინვალში**

## წინაპრებმა რუსეთთან ყოფნა დაგვიბარეს და ამას შევასრულებთ კიდეც

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ მიღებული გადაწვეტილებით გახარებულმა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობამ, ოსური მხარის ინფორმაციით, ქალაქ ცხინვალში მრავალათასიანი მიტინგი გამართა.**



მიტინგზე სიტყვით ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი გამოვიდა და განაცხადა, რომ პუტინის გადაწყვეტილება „პატრიოტი და მამაცი ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, რომელიც რუსეთის მოქალაქეთა კეთილდღეობისთვის იბრძვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი“.

— ჩვენმა ხალხმა დიდი ხნის წინათ დაამტკიცა, რომ სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, შედგა. მრავალი განსაცდელის მიუხედავად, ჩვენი ხალხი იბრძვის ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის, წინაპართა დანაბარების შესრულებისთვის და რჩება ფიცის ერთგული — საუკუნოდ იყოს რუსეთის ფედერაციასთან, — განაცხადა კოკოითიმ და დასძინა, რომ სამხრეთ ოსეთი აუცილებლად იქნება ერთიან რუსეთთან.

სეპარატისტმა ოსებმა ცხინვალში ქუჩებს იური ლუჟკოვისა და ვლადიმერ პუტინის სახელები უკვე მიანიჭეს.

ჯი-ეიჩ-ენი

**⊙ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სპეციალური განცხადება**

## ქართულ ტელესივრცეში საპასუხისმგებლო საკითხები ერთობ თავისუფალი ინტერპრეტაციით შუქდება

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელიც მედიასაშუალებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქართველოში მოქმედ დიპლომატიურ კორპუსს დაეგზავნა.**

„დღეს, როცა ჩვენი სახელმწიფო მისი განვითარების უაღრესად მნიშვნელოვან სტადიაში იმყოფება, ხოლო რუსეთის ფედერაციის აგრესიამ საქართველის მიმართ უკიდურესად საშიშ ზღვარს მიაღწია და აშკარადაა მიმართული ჩვენი ქვეყნის ძირძველი კუთხეების ანექსიისაკენ, უსაზღვროდ იზრდება მასმედიის როლი და პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მოსახლეობისათვის ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებაში, არამედ საზოგადოებაში მდგრადი მორალური სულისკვეთების დამკვიდრებაში.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როდესაც ქართულ ტელესივრცეში ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უაღრესად საპასუხისმგებლო საკითხები შუქდება ერთობ თავისუფალი ინტერპრეტაციით. ამასთან, გაკვირვებას იწვევს ქართული ტელეკომპანიების საინფორმაციო სამსახურების მესვეურთა გაძლიერებული ინტერესი არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტის იმ ოდიოზური პერსონების მიმართ, რომლებიც საქართველოსა და ქართველთ მოძულეობის განუკურნებელი სენით არიან დაავადებულნი, არამედ აფხაზური მარიონეტულ-სეპარატისტული რეჟიმის თავკაცთა მიმართაც, რომელთა მიერ გაკეთებული განცხადებები ავსეა საქართველოს, მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი პასაჟებით, რაც უაღრესად დამრთგუნველად მოქმედებს ჩვენი საზოგადოების განწყობაზე და აშკარად უწყობს ხელს საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დემორალიზაციას. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა აუცილებლობითაა განპირობებული ქართული ტელეეთერის შეუზღუდავად დათმობა სისხლის სამართლის დამნაშავეებისათვის, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს პროკურატურის მიერ მხილებული არიან აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა გენოციდსა და ეთნოწმენდაში, ან ეთმობა კი რუსული და სეპარატისტული ტელეეთერები თუნდაც ლიბერალური შეხედულების მატარებელ ქართველ პერსონალიებს?

პატივს ვცემთ და უალტერნატივოდ განვიხილავთ რა მედიის თავისუფლებას, ამავდროულად, ქართულ ჟურნალისტიკურ კორპუსს მოვუწოდებთ ყურადღება გაამახვილონ იმ პასუხისმგებლობაზე, რაც უპირობოდ შეუწყობს ხელს მათ მიერ შექმნილი პროდუქციის მაღალი ხარისხით წარმოჩენას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადასტურებს მუდმივ მზადყოფნას საინფორმაციო საშუალებებთან, ნებისმიერ დაინტერესებულ ჟურნალისტთან შემოქმედებით თანამშრომლობაზე და გამოთქვამს რწმენას, რომ მხედველობაში მიიღებენ ჩვენს წინამდებარე მოსაზრებებს წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.“ — ნათქვამია სპეციალურ განცხადებაში.

**⊙ შეწყალება**

## პრეზიდენტმა 165 პატიმარი გაათავისუფლა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 165 პატიმარი შეიწყალა. შეწყალების აქტს ხელი გუშინ მოეწერა. შეწყალებულთა შორის 80 პატიმარი პირადად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს თხოვნით გათავისუფლდა.**



შეწყალებული პატიმრები საპყრობილიდან პირდაპირ საპატრიარქოში მიიყვანეს, სადაც ისინი პატრიარქმა მიიღო და დალოცა.

შეწყალებულთა შორისაა ლესელიძის ქუჩაზე მომხდარი ყაჩაღობისა და პატრულის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ცნობილი ტელეწამყვანი, თამარ ცქვიტინიძე.

ჯი-ეიჩ-ენი

● როდესაც საბჭოთა სკოლა დავამთავრე და უცხოეთში სასწავლებლად წავედი, აუდიტორიაში ჩემს გვერდით ისხდნენ ნახევარი მსოფლიოს წარმომადგენლები და არავის ჩემზე კარგი განათლება არ ჰქონდა; აი, ასეთი განათლება უნდა დავუბრუნოთ საქართველოს



◎ შეხვედრა ამომრჩეველთან

# „ჩემი კონკურენტები არიან ადამიანები, რომლებსაც ბოლო ოთხი წლის მანძილზე მხოლოდ ეძინათ“

***საბურთალოზე** მაჟორიტარობის ერთ-ერთ კანდიდატს, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს თინა ხიდაშელს სწორედ მაშინ ვესტუმრეთ, როდესაც საბურთალოს ერთ-ერთი უბნის ამომრჩევლებს უსაბუთებდა, თუ რატომ უნდა მიეცათ მისთვის ხმა. ელექტორატის დამოკიდებულება ქალბატონი თინასადმი საკმაოდ კეთილგანწყობილი ჩანდა, საბურთალოელები მას საკუთარ პრობლემებს აცნობდნენ, უსვამდნენ კითხვებს და ხიდაშელიც, მომღიმარი სახით უსმენდა, უხსნიდა და პასუხობდა ყველა მათგანის შეკითხვას.*

*მოგეხსენებათ, ამ დღეებში აქტუალურია საქართველოს ერთიანობის შენარჩუნების, კონფლიქტური რეგიონების და რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის საკითხები. საქართველოს პრეზიდენტმა ოპოზიციას მოუწოდა აღნიშნულ თემებზე დიალოგისა და ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება. პრეზიდენტის ამ შეთავაზებამ დიდი ინტერესი გამოიწვია თინა ხიდაშელის ამომრჩევლებშიც და პირველივე კითხვა რესპუბლიკური პარტიის ლიდერს ჩვენც ამასთან დაკავშირებით დავუსვით. გვინდოდა, გაგვერკვია „რესპუბლიკელების“ პოზიცია მიხეილ სააკაშვილის მოწოდებაზე.*

— პრეზიდენტს წელიწადნახევარში ერთხელ, წინასაარჩევნოდ ახსენდება ქვეყანაში ოპოზიციის არსებობა. პრეზიდენტის ეს საუბარი არასერიოზული და არაფრის მომცემი იყო. ჩვენ სამჯერ დავთანხმდით ასეთ შემოთავაზებაზე, მაგრამ სამჯერვე ეს იყო ერთჯერადი, ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი ლონისძიება და მეტი არაფერი. დღეს პრეზიდენტს ქართული პოლიტიკური სპექტრისგან შიდა ლეგიტიმაცია არა აქვს და სჭირდება, რომ საარჩევნოდ ოპოზიცია, როგორღაც, თავისთან — მაგიდასთან დასვას. აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენთვის ერთ-ერთი მტკივნეული საკითხია, ამიტომ „რესპუბლიკელები“ მზად ვართ, შევხვდეთ არა პრეზიდენტს, არამედ პრემიერ-მინისტრს და მთავრობის წევრებს, გავაცნოთ ჩვენი ხედვა ამ პრობლემების მოგვარებაზე, რადგანაც ჩვენ ვაპირებთ ერთ თვეში ამ ხელისუფლებაში მოსვლას და არ გვინდა ამ ერთი თვის განმავლობაში ქვეყანა გამოუსწორებელი შედეგების წინაშე აღმოჩნდეს.

**— საზოგადოების ნაწილი და ზოგიერთი ოპოზიციური ძალა ფიქრობს, რომ ქვეყანაში სამხედრო დაძაბულობა ხელოვნურად შექმნა ჩვენმა ხელისუფლებამ. რას ფიქრობენ ამის თაობაზე რესპუბლიკურ პარტიაში?**

— ეს ერთგვარი უპასუხისმგებლო განცხადებებია, ვინაიდან ჩვენ არა გვაქვს ინფორმაცია. ჩვენ რომ ასეთი რამ ვთქვათ, უნდა გვქონდეს ზუსტი ინფორმაცია. სამწუხაროდ, ქვეყნის უბედურება ის არის, რომ ხელისუფლება ისეა საკუთარ თავში ჩაკეტილი, „რუსთავი-2“-სა და ხელისუფლების გარდა არავინ არაფერი არ იცის, რა ხდება ქვეყანაში. ასეთ განცხადებას აპრიორი ვერ გავაკეთებ, თუმცა არ მაქვს სააკაშვილის ნდობა და მისგან ყველაფერს ველოდები.

**— თქვენი პარტია, წინასაარჩევნო პროგრამით, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, კოალიციური მთავრობის შექმნას გვთავაზობს. როგორ წარმოგიდგენიათ ასეთი მთავრობა?**

— მთავრობა იქნება ისეთი, როგორც გადანაწილდება ქართველი ხალხის ხმები. რომელ პარტიებსაც დაუჭერს ქართული საზოგადოება მხარს, ბუნებრივია, ისინი შევლენ პარლამენტში და ხალხი ამ არჩევანით მათ დააკისრებს ვალდებულებას ერთმანეთს ელაპარაკონ და ერთად გადაწყვიტონ ამ ქვეყნის პრობლემები. პარლამენტში მოხვედრილი ყველა პარტია ვალდებულია ერთად მართოს ქვეყანა. ეს არის დემოკრატიის მთავარი ამოცანა — პარლამენტში მოხვედრილმა პარტიებმა პასუხისმგებლობა უნდა გადაინაწილონ. ეს ვერ ხდება, როდესაც კომუნისტური, ერთპარტიული პარლამენტია.

**— თუკი წინა არჩევნები გააყალბეს და ამ არჩევნებსაც იგივე თარხნიშვილი ხელმძღვანელობს, გამოდის, რომ კვლავაც არსებობს გაყალბების შანსი. მაშინ რატომღა მონაწილეობთ ასეთ არჩევნებში ან როგორ აპირებთ საკუთარი ხმების დაცვას?**

— აღარ ვითხოვ ცესკოს თავმჯდომარის გადადგომას, კარგიც კია, თარხნიშვილი რომ კვლავ ინარჩუნებს ამ ადგილს, ეს არის ხელისუფლების ძალიან დიდი თავხედობა ოპოზიციის და მთელი მსოფლიოს მიმართ ასეთი კაცი თავხედურად დატოვეს თავმჯდომარედ. იყოს თავმჯდომარე და ვნახოთ, ამჯერად რა გამოუვა.

**— საბურთალოს რაიონში საკმაოდ ძლიერი კანდიდატების წინააღმდეგ მოგიწევთ ბრძოლა. საინტერესოა, როგორ აფასებთ თქვენს შანსებს და რატომ უნდა მოგცენ ხმა თქვენ?**

— საერთოდ, „რესპუბლიკელები ძალიან განვსხვავდებით სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან და მათ შორის, ვფიქრობ, მეც სრულიად განვსხვავდები დანარჩენი კანდიდატებისგან. ხმა უნდა მომცენ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საბურთალოზე ჩემი კონკურენტები არიან ადამიანები, რომელთაც ბოლო ოთხი წლის მანძილზე, უბრალოდ, სახლში ეძინათ, არ გახსენებიათ, რომ ამ ქვეყანაში რაიმე ხდებოდა. არჩევნების წინ გამოიღვიძეს, ბევრი დროშის ფრიალი ნახეს 7 ნოემბერს და გადაწყვიტეს, ხალხთან ერთად ქუჩაში დამდგარიყვნენ.

ვფიქრობ, ამ ქვეყანაში პოლიტიკური მეხსიერება ძალიან მაღალია და ხალხი ყველაფერს ხედავს და იმახსოვრებს. რაც შეეხება ხელისუფლების კანდიდატს, მასზე სერიოზულად ვერც ვიმსჯელებ. ბულდოზერებით რომ დადის და სკვერებს და სტადიონებს უშენებს ხალხს, ეს მისი უშუალო ვალდებულებაა, რადგანაც არის ქალაქის ვიცე-მერი და აკეთებს იმას, რაც ამ ოთხი წლის მანძილზე უნდა ეკეთებინა. მოსახლეობას ვხვდები, ვესაუბრები და მათ არ დავიწყებიათ, რომ ეს ოთხი წელი ეს კაცი არ არსებობდა და ახლა გააქტიურდა. მართალია ხელისუფლება იძახის, ჩვენ ვირჩევთ საქმეს ლაპარაკის ნაცვლადო, მაგრამ მათი საქმე არავის უნახავს. მათგან განვსხვავდები, პირველ რიგში, იმით, რომ ვლაპარაკობ მართალ სიტყვას და მეორე — ვიბრძვი ამ სიტყვის რეალობად ქცევისათვის. ჩვენ სწორედ მათი „გაკეთებული“ საქმეების წინააღმდეგ ვიბრძოდით, ვიბრძოდით ქვეყნის გადარჩენისათვის და ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ. მთავარია, საქართველომ აირჩიოს გონიერი ხელისუფლება, გონიერებამ ერთხელ მაინც, რომელიმე არჩევნებზე ხომ უნდა გაიმარჯვოს...

**— წინასაარჩევნოდ თქვენ უკვე შეხვდით თქვენი ამომრჩევლების უმრავლესობას და მოისმინეთ მათი პრობლემები. რა აწუხებთ მათ ყველაზე მეტად და პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, რა იქნება თქვენი მთავარი პრიორიტეტი საბურთალოს რაიონისთვის?**

— ხალხი ამბობს, რომ ხელისუფლებამ გზები მართლაც გააკეთა და ეს კარგია. ჩვენც მოგვწონს, რომ გზებზე მანქანით სიარულისას ორმოები აღარ არის, მაგრამ ისმის კითხვა — რისთვის გვჭირდება გზები? — გზა გვჭირდება ერთი პუნქტიდან მეორეში, სახლიდან სამსახურში მისასვლელად, მაგრამ ხალხს სამსახური არა აქვს. გზები გაგვიკეთეს, რათა სახლიდან საავადმყოფოში მივიდეთ. საავადმყოფოში კი ვერ მივდივართ სამკურნალო ფულის უქონლობის გამო.

გზა კიდევ გვჭირდება სახლიდან სკოლაში მისასვლელად, სკოლაში კი ჩვენს შვილებს განათლებას არ აძლევენ და ა.შ. ეს გრძელი სიაა.

ჩვენ ხელისუფლებაში მოვდივართ, რომ გზა იყოს საშუალება გადაადგილებისა და არა მიზანი — ვაჩვენო თუ „როგორი კარგი ვარ“; ადამიანებს ჰქონდეთ სამსახური, ჰქონდეთ საშუალება, მიხედონ საკუთარ ჯანმრთელობას; მათმა შვილებმა მიიღონ კარგი განათლება, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის კურსდამთავრებულთან იყვნენ კონკურენტუნარიანნი. როდესაც საბჭოთა სკოლა დავამთავრე და უცხოეთში სასწავლებლად წავედი, აუდიტორიაში ჩემს გვერდით ისხდნენ ნახევარი მსოფლიოს წარმომადგენლები და არავის ჩემზე კარგი განათლება არ ჰქონდა; აი, ასეთი განათლება უნდა დავუბრუნოთ საქართველოს.

ესაუბრა
**თამარ ბუზალაძე**



◎ ინფორმაცია

## ევროსაბჭოს დელეგაცია და ქართული მედია

**თბილისში** მყოფი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის არჩევნებზე დამკვირვებელთა საგანგებო კომიტეტის დელეგაცია გუშინ ქართული მედიის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, ტელეკომპანიების „რუსთავი-2“-სა და „კავკასიის“, გაზეთ „რეზონანსის“ წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მათი ინფორმაციით, ევროსაბჭოს დელეგაციას მიაწოდეს ინფორმაცია, თუ როგორ შუქდება მედიასაშუალებებში წინასაარჩევნო კამპანია და როგორია მედიის მდგომარეობა.

საუბარი შეეხო, აგრეთვე, ტელეკომპანიების „რუსთავი-2“-ისა და „მზის“ მიერ ერთიანი ეროვნული საბჭოსადმი ბოიკოტს.

როგორც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო პროგრამა „კურიერის“ პროდიუსერმა გიორგი ლაფერაშვილმა განაცხადა, ევროსაბჭოს წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ ბოიკოტი მიმდინარეობს არა ტელეკომპანიების მხრიდან, არამედ თავად ოპოზიციამ გამოუცხადა ბოიკოტი ტელეკომპანიებს.

## პრეზიდენტის წინასაარჩევნო პიარი

**რესპუბლიკური** პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი სამშვიდობო ძალების კონფლიქტურ რეგიონებში ყოფნის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე, კომენტარს აკეთებს.

როგორც დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, სააკაშვილის ასეთი განცხადებები პიარს ემსახურება და არა საქმეს.

ხელისუფლებას კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიული, გამოკვეთილი და მიზანმიმართული გეგმა არა აქვს. არჩევნების წინ პიარისთვის ხდება ამის აქტუალიზება. ეს არის წმინდა წინასაარჩევნო პიარის ნაწილი, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, სამშვიდობოების გაყვანის წინაპირობაა, საქართველომ დსთ დატოვოს.

ჩვენ პარლამენტში დსთ-დან გამოსვლის ინიციატივა დავაყენეთ, მაგრამ კენჭი არ უყარეს. თუ რეალურად უნდა სააკაშვილს სამშვიდობოების გაყვანა, დსთ-დან უნდა გამოვიდეს, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

მანვე აღნიშნა, რომ გაერო სამშვიდობოების ყოფნას კონფლიქტურ ზონებში მხარს უჭერს.

## უმუშევარი პროკურორი — მაჟორიტარ დეპუტატად

**ერთიანი** ნაციონალური მოძრაობიდან გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გიორგი ღვინიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი გიორგი სიბაშვილი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ბრალდებას ეხმაურება.

როგორც გიორგი სიბაშვილმა განაცხადა, გიორგი ღვინიაშვილმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განაცხადი 2008 წლის 21 აპრილს წარადგინა. იგი ამ დროისთვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2008 წლის 17 აპრილის ბრძანებით, უკვე გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან, შესაბამისად, მას განაცხადში მითითებული აქვს, რომ არის დროებით უმუშევარი.

გიორგი ღვინიაშვილს არ ევალებოდა ბრძანების წარდგენა. მისი დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამის მუხლს, — განაცხადა დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა.

„ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ გუშინწინ გაავრცელა ინფორმაცია, სადაც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები №12 გურჯაანის საოლქო-საარჩევნო კომისიას, საარჩევნო კოდექსის დარღვევაში ადანაშაულებდნენ. კერძოდ, მათი თქმით, კომისიამ გიორგი ღვინიაშვილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად კანონის უხეში დარღვევით დაარეგისტრირა, რადგან მას კომისიისთვის არ წარუდგენია სამართლებრივი აქტი, რომლითაც დაადასტურებდა, რომ ის თბილისის პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლებულია.

ინტერპრესნიუსი

# დღევანდელობა

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პრეზიდენტს გამოუჩნდნენ მოჩხიკინე ოპონენტები, ასე ვთქვათ, საქართველოს არაკეთილისმსურველი ადამიანები, რომელთაც ფოთის ეკონომიკური სასწაული სასწაულებრივ გაუგებრობად, ფულის გათეთრების წყაროდ და ეროვნული ეკონომიკის განადგურების მორიგ მცდელობად აღიქვეს



## გვეხუმრება კი?!.

***ალბათ მკითხველი მაპატიებს, თუ მის ყურადღებას საქმეს დროებით მოვწყვეტ (მასში ყველა ისეა ჩართული, თავი ვერ აუწევია!) და იმ გაუგებრობებისკენ მივმართავ, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში ხდება. ამის აუცილებლობა უფრო იმან განაპირობა, რომ ამ გაუგებრობათა უმეტესობა, რაც უნდა საკვირველი იყოს, ქვეყნის პრეზიდენტის, საერთოდ, ჩვენს უბიწო და შეუბღალავ ხელისუფალთა ირგვლივ ასოცირდება, რაც თავის მხრივ ახალ დიდ გაუგებრობებს იწვევს. მომავალში ამას რომ თავი ავარიდოთ, ვეცდები ჩემი მათდამი (გაუგებრობებისადმი) დამოკიდებულება იყოს მარტივად გასაგები და საქმიანი, ნაცვლად უსაგნო ლაპარაკისა, რასაც თავად საქმეში თავფეხიანად ჩაფლული ხელისუფლება ჩვენგან ასე დაჟინებით მოითხოვს.***

# გაუგებრობა?!

ჰოდა, იმედი რომ არ გავუცრუო იქით ხელისუფლებას და აქეთ კიდევ მკითხველს, საზოგადოებაში ყველაზე გახმაურებულ გაუგებრობებს ჩავეჭიდები. მე თქვენ გეტყვით, პოვნა გამიძნელდება და მათ მოსაძიებლად აფრიკის ჯუნგლებში გადაფრენა დამჭირდება. აგერ არაა, ბატონო, ამოირჩიე რამდენიც გინდა!

სულაც ახლანდელ საპრეზიდენტო არჩევნებს გავიხსენებ, რომლის ირგვლივაც ყველაზე მაღალბალიანი გაუგებრობის საპროტესტო ტალღა აგორდა. მეტი თავლაფდასხმა რა გინდათ, თავად მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც ხალხის გულის მოსაგებად საკუთარი თავიც არ დაინდო და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა, სწორედ ამ არჩევნების მოპარვა დააბრალეს (ეს სამარცხვინო ამბავი საზღვარგარეთ რომ იწონებდა თავს, მაშინაც კი წამოსძახესძ, ხოლო ცესკოს თავკაცს, პატიოსნებითა და სისპეტაკით სავსე ლევან თარხნიშვილს, ამ უზნეო საქციელში პრეზიდენტის თანამონაწილეობა დასწამეს. ასეთ ვითარებაში ეჭვის ჭია ყოველთვის მშვიდ და თავდაჯერებულ სახალხო დამცველ სოზარ სუბარსაც კი შეუჩნდა და თარხნიშვილს საარჩევნო უბნებზე ვიდეოთვალის მიერ გადაღებული ჩანაწერი მოსთხოვა.

გაგიჟდიო? — შეუთვალა თარხნიშვილმა,— შენ თუ გამცემი და მოღალატე არა ხარ, ვიდეოთვალის ჩანაწერი რა ჯანდაბად გინდა, აქ მოდი და თუ მაინც და მაინც შენსას არ იშლი, ზოგი კადრის სანახავად კარის ღრიჭოდან შეგაჭვრეტინებო. ამაზე, რა თქმა უნდა, სახალხო დამცველი გვარიანად დაიბოღმა და თხოვნის აღსრულება კანონის ძალით მოითხოვა.საქმე იქამდე მივიდა, რომ ოპოზიციამ, რომელიც ადრევე ითხოვდა ყალბისმქმნელი თარხნიშვილის გადაყენებას, ამის თაობაზე ამჯერად უკვე პარლამენტს ოფიციალური უსტარი აახლა.

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შუამავლად და მომრიგებელ-მოსამართლედ, რა თქმა უნდა, პარლამენტის სპიკერი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ჩადგა და მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს თავი ღირსეულადაც გაართვა. მართალია, თარხნიშვილს ქურდობა ვერ დაუდასტურეს (ნივთმტკიცების უქონლობის გამოძ და ამდენად ვერც თანამდებობიდან მოხსნეს (ამას ისიც დაემატა, რომ ნაციონალებში თარხნიშვილზე უკეთესი უნამუსო კანდიდატურა ვერ მოიძებნაძ, მაგრამ სამაგიეროდ სხვა გამოსავალი იპოვეს — პარლამენტარებმა კანონში სასწრაფოდ შეიტანეს ცვლილება, რომლის ძალითაც ვიდეოთვალის ჩანაწერი ცესკოს ამაგდარ თავმჯდომარეს კერძო საკუთრებაში გადასცეს. ამით გაუგებრობაც სამუდამოდ მოიხსნა და თარხნიშვილიც მოგებული დარჩა. საკუთრების უფლებას ჩვენში კონსტიტუცია იცავს, ამიერიდან ცესკოს უფროსს, თუკი მოისურვებს, შეუძლია, ვიდეოთვალის ჩანაწერები სულაც შინ წაიღოს, შიგადაშიგ მისი ცქერით ოჯახის წევრები და ახლობლები გაამხიარულოს, ან, გნებავთ, აუქციონზე გაიტანოს, გაყიდოს და მორალური ზარალი, რაც მას ხმების ქურდობის ბრალდებით მიაყენეს, მატერიალურად აინაზღაუროს.

ერთი სიტყვით, პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებული ეს გაუგებრობა შარშანდელი თოვლივით გაქრა, მაგრამ სამაგიეროდ მეორე მაშინვე გაჩნდა, როგორც კი მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის სტატუსის განსასაზღვრად ახალი ინიციატივა წამოიწყო. საქართველოს პრეზიდენტი გარდა იმისა, რომ სერგეი ბაღაფშს ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტობას შეპირდა, გალისა და ოჩამჩირის რაიონებში მას თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის სახარბიელო იდეაც შესთავაზა. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი შეთავაზებით ბაღაფში აღფრთოვანდებოდა, მან კი გაუგონარი გაუგებრობა გამოიჩინა და აფხაზი ხალხისათვის სიკეთის მსურველ სააკაშვილს სასტიკი უარი სტკიცა.

დე ფაქტო პრეზიდენტის ასეთმა გაუგებელმა საქციელმა, შეიძლება ითქვას, მიამიტობამაც, არა მარტო აქაურების, ბელგიაში მცხოვრები ომარ ხახაშვილის უკმაყოფილებაც კი გამოიწვია, რაც მან „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილით ( 2 აპრილი, 2008 წელიძ გულღიად გამოხატა. რატომ უნდა ეთქვა უარიო, გაკვირვებულია ის, ამ შეთავაზებით ხომ ფაქტობრივ პრეზიდენტთან ერთად დე ფაქტოც რაღაცას ხელს გამოკრავდაო. მან კი უადგილოდ მოიმიზეზა: „აფხაზეთი არ იყიდებაო“.

„შე დალოცვილო, საყვედურობს ბაღაფშს ომარ ხახაშვილი, ამხელა საქართველო უკვე გაიყიდა და ციცქნა აფხაზეთი რა გაგიხდა! დღეს ყველაფერი იყიდება, თანაც სხვის ქონებას სხვა ყიდის. რუსეთშიც იგივე თამაშის წესია, იმ განსხვავებით, რომ საქართველო ყიდის, რუსეთი კი ყიდულობს. რაც შეეხება აფხაზეთს, იგი მას უფასოდ ნებავს. სააკაშვილი კი ცდილობს აფხაზეთიც მიჰყიდოს, რომ იგი მთლად მუქთად არ დაუნარჩუნოს რუსეთს. ყველა ყველა, მაგრამ ბ-ნ მიხეილსაც ხომ უნდა გავუგოთ: საქართველოში გასაყიდი ალარაფერია და პრეზიდენტი კაცი უმუშევრად ხომ არ დარჩება?! მით უმეტეს, რომ ოჩამჩირისა და გალის „ბიზნესში“ (გაყიდვაშიძ ბაღაფშიც წილში გაჰყავს. თუ არ უნდა, გასაყიდი უბაღაფშოდაც გაიყიდება და ჩვენი დე ფაქტო სულ მშრალზე დარჩება. მაგრამ არ გინდა შეაგნებინო შეუგნებელს? ამაზე მეტი უანგარიშობა რაღა გინდა!“

აი, ხომ გამოჩნდა, რა გაუგებელიც ყოფილა ბაღაფში. იმას, რასაც მშვენივრად ხედავს შორეულ ბელგიაში ბატონი ხახაშვილი, რატომღაც ვერ ხედავს აქვე, ჩვენს გვერდით მყოფი ბაღაფში. პირდაპირ საოცარია, აფხაზეთის ლიდერს პრეზიდენტობა უნდა, ანგარიშიანობა კი ვერა და ვერ ისწავლა!

ამასობაში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შესაშური ოპერატიულობა გამოიჩინა და საქართველო ფოთში ახალი ეკონომიკური სასწაულის მომსწრე გახადა. დიახ, ზუსტად ასეთი ეპითეტით შეამკო ქვეყნის მეთაურმა 15 აპრილს ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედება. აქ 50 თვის განმავლობაში დაბანდდება 200 მილიონი დოლარის ინვესტიცია, შეიქმნება 400-ზე მეტი საწარმო, სადაც ათეულ ათასობით კაცი დასაქმდება. ეს საქართველოსთვის ოქროს საწყისია, — დასძინა პრეზიდენტმა.

თუმცა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პრეზიდენტს გამოუჩნდნენ მოჩხიკინე ოპონენტები, ასე ვთქვათ, საქართველოს არაკეთილისმსურველი ადამიანები, რომელთაც ფოთის ეკონომიკური სასწაული სასწაულებრივ გაუგებრობად, ფულის გათეთრების წყაროდ და ეროვნული ეკონომიკის განადგურების მორიგ მცდელობად აღიქვეს.

მართლა ასეა? ცოტა მოთმინება ვიქონიოთ, ბატონებო, მანამდე მაინც დავუცადოთ, ვიდრე ოქროს წვიმა ფოთიდან ქუთაისამდე მოაღწევდეს და ამ სასწაულის გაგება-გაუგებრობაზე მერელა ვილაპარაკოთ.

**ოთარ ხუციშვილი**

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.

## ინფორმაცია

### სოხუმი გაეროს უკმაყოფილოა

**სოხუმი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის შედეგებს აპროტესტებს.**

**როგორც აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, სოხუმის უკმაყოფილება გაეროს მიერ აფხაზეთის საჰაერო სივრცეში ქართული თვითმფრინავების ფრენების რეაგირების გარეშე დატოვებამ გამოიწვია.**

**შამბა აღნიშნავს, რომ გაეროს მოლაპარაკებათა პროცესის ხელშეწყობა და მიღწეული შეთანხმებების შესრულების დაკვირვება ევალება.**



**ჩვენ უშიშროების საბჭოს ვაცნობეთ, რომ საქართველომ დაარღვია შეთანხმება, რომელსაც თავად გაეროც აწერს ხელს. მეტიც, საქართველოს პეზიდენტმა ისიც კი განაცხადა, რომ აფხაზეთში ქართული თვითმფრინავები დაფრინავენ და მომავალშიც იფრენენო. გაეროს უშიშროების საბჭომ, ამ დარღვევის ნაცვლად, რუსეთის ქმედებები დაგმო, რაც ჩვენს პროტესტს იწვევს, — აღნიშნა შამბამ.**

**მისივე თქმით, სოხუმი გაეროს ობიექტურობაში დარწმუნებული არ არის და არ არის გამორიცხული, ორგანიზაციასთან დე ფაქტო ხელისუფლების თანამშრომლობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.**

**შამბას განცხადებით, გაეროს დამკვირვებლის სტატუსი აქვს და სოხუმი არ მისცემს საშუალებას, უფლებამოსილებას გადააჭარბოს.**

**ამასთან, სოხუმის განსაკუთრებული უკმაყოფილება გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ნაწილის — აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის კომუნიკემ გამოიწვია, რომელშიც ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა საქართველოს მიმართ რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკა დაგმეს.**

**შესაძლოა, ჩვენ მომავალში გაეროსთან ურთიერთობაზე საერთოდ უარი ვთქვათ. დაე, დარჩნენ ეს ქვეყნები მხოლოდ საქართველოს მეგობრებად და მხოლოდ თბილისთან ჰქონდეთ ურთიერთობა, — განაცხადა შამბამ.**



### ბაღაფში ხელშეკრულებებს რუსეთში აფორმებს

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში მოსკოვში იმყოფება და ქალაქის მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს მართავს. ამის შესახებ ბაღაფშის პრესსამსახურში განაცხადეს.**

**დე ფაქტო პრეზიდენტთან ერთად, მოსკოვში აფხაზეთის ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციების ხელმძღვანელებიც ჩავიდნენ და მოსკოვის პრეფექტურების წარმომადგენლებთან ხელშეკრულებებს აფორმებენ.**

**ბაღაფშმა თანამშრომლობის ხელშეკრულება გასულ კვირას ბურიატიის ქალაქ ულენ-უდესთანაც გააფორმა.**

### განა სხვა განაჩენს ელოდით?

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) სარჩელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — გამარჯვებული საქართველოსთვის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლომ არ დააკმაყოფილა.**

**როგორც საია-დან იტყობინებიან, გადაწყვეტილების მოტივირებულ ნაწილს მოგვიანებით მიიღებენ, სადაც აღნიშნული იქნება, რა გახდა სარჩელის დაუკმაყოფილებლობის მიზეზი.**

**მათივე ცნობით, გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში გეგმავენ.**

**საია-ს ცნობით, მათ მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ამომრჩეველთა მატერიალური დაინტერესება საარჩევნო სუბიექტის ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. კერძოდ, ადგილი ჰქონდა საქართველოს მოქალაქეებისთვის საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემისა და ასეთი სახის ფასეულობათა გადაცემის დაპირების ფაქტებს. „ახალგაზრდა იურისტები“ მმართველი პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას ამ მიზეზით ითხოვდნენ.**

ინტერპრესნიუსი



ჩვენ • ქართველ ისტორიკოსთა ძალისხმევა, ფაქტობრივად, უშედეგოა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ფრიად სერიოზული გამოკვლევები რუსულ ენაზეც არის გამოქვეყნებული და ცალკეული ნაშრომი – ინგლისურადაც, მიზერული ტირაჟის გამო, მათი ინფორმაციული მნიშვნელობაც შესატყვისია

**◎ გვეხმაურებიან**

***მრავალსაუკუნოვანი** ისტორიის მანძილზე საქართველო არაერთხელ ყოფილა მწვავე განსაცდელის წინაშე. დღეს სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ერს, რომელსაც, განსხვავებით, მაგალითად, რუსებისაგან, თავისი სახელმწიფო ტერიტორიის არც ერთი მეტრი დაპყრობის შედეგად შეძენილი არა აქვს (რაც ბუნებრივად გულისხმობს ქართველი ხალხის სამართლებრივ სუვერენულ უფლებას საქართველოს მთელს სივრცეზე) და, პირუკუ, ისტორიული მიწა-წყლის ერთი მესამედი სხვადასხვა მიზეზის შედეგად კიდევაც ჩამოეჭრა, დღესაც შინაური თუ გარეული მეზობლები მთელ მხარეებს ედავებიან. ამას ზედ ერთვის უვიცობით თუ შეგნებული ფალსიფიკაციით შეთანხმებული სრული დეზინფორმაცია ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებ, რომელიც ფართოდ ვრცელდება რუსული თუ სხვა არაკეთილმოსურნე სატელევიზიო არხებისა და საგაზეთო კორესპონდენციების მეშვეობით.*

# ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

## ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" გამო

ასე მაგალითად, შარშან რუსეთის პრეზიდენტმა ვ.პუტინმა, რუსი ხალხის ფართო მასებისთვის გამართულ საგანგებო სატელევიზიო გადაცემაში წარბშეუხრელად განაცხადა, რომ 1801 წელს, როდესაც საქართველო „შეუერთდა" თურმე რუსეთს, არც აფხაზეთი და არც ე. წ. „სამხრეთი ოსეთი" მის შემადგენლობაში არ შედიოდა (პრეზიდენტს „დაავიწყდა" აღენიშნა ერთი „პატარა დეტალი": იმ წელს მხოლოდ აღმოსავლეთი საქართველო „შეუერთდა" რუსეთს"ძ.

უფრო ადრე, 2004 წლის 10 ივლისს, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ („დუმამ"ძ მიიღო დადგენილება, რომელშიც გაცხადებული იყო, რომ ე. წ. „სამხრეთი ოსეთი" რუსეთს თურმე საქართველოზე ადრე შეუერთდა ჯერ კიდევ 1774 წელს!

ორთავე ამ უტიფარ ტყუილს მაშინვე მოჰყვა ქართველი ისტორიკოსების საბუთიერი პასუხები, რომლებიც, მართალია, დაიბეჭდა ჩვენი რესპუბლიკის რუსულენოვან გაზეთებში, მაგრამ, ფაქტობრივად, დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", რამდენადაც ვიცი, ჩვენი პოლიტიკოსების მხრიდან არავითარი ოფიციალური რეაქცია არ მოჰყოლია ამ გამოხდომებს!

საერთოდ, მგონია, ჩვენს სახელმწიფო დიპლომატიაში მოიკოჭლებს „ისტორიის ფაქტორი". გასაგებია, რომ არც „ეუთოს", არც „გაეროს" და არც „ნატოს" არ აინტერესებს წარსული და თავიანთი პოლიტიკის წარმართვისას მხოლოდ არსებულ ვითარებას უწევენ ანგარიშს, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ ჩვენი ისტორია, პატივს ვცემდეთ მას და ვეცადოთ ზემოაღნიშნულ ევრო-ამერიკულ სტრუქტურებსაც შევუქმნათ სათანადო განწყობა! მთელმა მსოფლიომ, სრულიად სამართლიანად, საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერიად" შერაცხა, და დაგმო მისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა და განა ჩვენს პოლიტიკოსებს თავის დროზე არ უნდა გაეგებინებინათ იმავე მსოფლიოსთვის, რომ ჩვენი ადმინისტრაციული სისტემაც საბჭოთა ეპოქის ნაყოფია? რომ აფხაზეთის ტერიტორია (შიდა ქართლზე რომ აღარ ვისაუბროთძ უძველესი დროიდანვე ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილია; რომ „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა" და „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი" საბჭოთა კავშირის შემოქმედებაა; რომ თვით ტერმინიც კი – „სამხრეთი ოსეთი" – რუსების მოგონილია?

დღევანდელ აფხაზ და ოს სეპარატისტებს „დაავიწყდათ", მაგრამ XIX საუკუნის რუს და XX საუკუნის 30-60-იანი წლების აფხაზ და ოს მეცნიერებს კარგად აქვთ დაფიქსირებული თუ საიდან, როდის და როგორ გაჩნდა საქართველოს ამ ტერიტორიაზე აფხაზური (აფსუურიძ და ოსური მოსახლეობა და სახელდობრ იცოდნენ აქ ჩამოსახლებული საკუთარი წინაპრების გვარ-სახელები!

ყველა ეს პრობლემა საფუძვლიანად არის შესწავლილი და გაშუქებული ქართული ისტორიოგრაფიაშიც. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავუსვა ხაზი: ქართველ ისტორიკოსთა ძალისხმევა, ფაქტობრივად, უშედეგოა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ფრიად სერიოზული გამოკვლევები რუსულ ენაზეც არის გამოქვეყნებული და ცალკეული ნაშრომი – ინგლისურადაც, მიზერული ტირაჟის გამო, მათი ინფორმაციული მნიშვნელობაც შესატყვისია. ამგვარი სიტუაციის გამოსწორებით, მგონია, სახელმწიფო სისხლხორციელად უნდა იყოს დაინტერესებული!

კარგი იქნება თუ სახელმწიფოს სათანადო სტრუქტურები და კერძო ბიზნესის პატრიოტული სფეროც დაინტერესდება ამ პრობლემით. მდიდარ ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მეცნიერული გამოკვლევები, რომელთა გადათარგმნაც უცხო ენაზე (არა მხოლოდ რუსულზეძ და დიდტირაჟიანი პუბლიკაცია ფრიად საშური საქმეა ამ თვალსაზრისით. პირველ რიგში დავასახელებდი ივ.ჯავახიშვილის ცნობილ მონოგრაფიას – „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული" – რომელშიც აღნიშნული პრობლემა პირველწყაროების საფუძველზე მონოგრაფიულადაა განხილული და თუმცა იგი 1919 წელსაა დაწერილი, მაგრამ რა თქმა უნდა, დღესაც ფრიად აქტუალურია, თუნდაც იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ამ შესანიშნავი გამოკვლევის შექმნა იმავე პრობლემებით იყო განპირობებული, რომლებიც დღესაც ასე მწვავედ დგას საქართველოს წინაშე.

იმედია, ჩვენი ეს სურვილი მაინც არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"!

**დავით მუსხელიშვილი**

**◎ სულიერება**

# დავითგარეჯს უდიდესი მიზიდულობის ძალა აქვს

**უფლის მადლით საქართველოში ბევრი ისეთი ადგილია, სადაც საუკუნეებია წმინდა მამები მოღვაწეობენ. ისინი ყოველდღიურ ამაოებას გაცილებულნი სიმშვიდეს ათეული კილომეტრებით მოცილებულ ადგილებში ჰპოვებენ. ახლა გაზაფხულია და დიდმარხვის დროს უამრავი მორწმუნე ცდილობს ხმაურიან გარემოს განერიდოს და წმინდა სავანეს დროებით მაინც შეაფაროს თავი.**

ერთ-ერთი ასეთი სავანე დავითგარეჯია, რომელიც VI საუკუნეში მოღვაწე ღირსმა მამამ დავით გარეჯელმა დააარსა. იგი ასურეთიდან საქართველოში შემობრძანებული იოანე ზედაზენელის თორმეტ მოწაფეთაგანი იყო.

თბილისიდან დავითგარეჯამდე 85 კილომეტრია, 25-კილომეტრიანი კომპლექსი, ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ის საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზეა, მისი ნაწილი ახლა აზერბაიჯანის მხარეს არის მოქცეული და ქართული სიწმინდის დაბრუნება მათ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.



ოდესღაც მონასტერში ხუთი ათას ბერზე მეტი მოღვაწეობდა, კომუნისტების პერიოდში კი სავანე სულიერი მამებისთვის დაიხურა და მას სამხედრო პოლიგონად იყენებდნენ. ახლა კოპლექსში სამი მღვდელ-მონაზონი და ორი ბერი მოღვაწეობს. მათთვის დღე ხუთ საათზე, ცისკრის ლოცვით იწყება. მძიმე მარხვაში ლოცვები დღეში სამჯერ, ჩვეულებრივ დღეს კი ორჯერ ტარდება. სავანის წინამძღვარი მამა ილარიონია.

აქ არც წყალია, არც ელექტროენერგია და არც ტრანსპორტი, ავტობუსი მხოლოდ მონასტრიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ სოფელ უდაბნომდე მიდის. ამიტომ ზამთარში, როცა დიდი თოვლია ბერები გარე-სამყაროსგან იზოლირებულნი არიან. გაზაფხულის დადგომასთან ერთად კი მათ სიმყუდროვეს უამრავი მნახველი არღვევს. სავანეს სტუმარი და დამთვალიერებელი არ აკლია, აქ უამრავ უცხოელ ტურისტს შეხვდებით, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავენ.

ფრანგი მანუელ პლუნივაჟი აქ მეუღლესთან – თამუნა ნინოშვილთან და ხუთ შვილთან ერთად მოვიდა. იგი 15 წელია ქართველების სიძეა და ჩვენს ქვეყანაში უკვე ოცდაათჯერ იყო. შვილები მართლმადიდებლებად მონათლა და თვითონაც ამ სარწმუნეობის მიღებას აპირებს. ის პროფესიით ისტორიკოსია და იმდენად მოიხიბლა ქართული კულტურით, ხალხით, ადათ-წესებით, რომ სექტემბრიდან სამუშაოდ საქართველოში ჩამოსვლას ფიქრობს. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც დავითგარეჯმა, ასევე ალავერდმა, ანანურმა, გრემმა და მცხეთამ თავისი ისტორიული ძეგლებით.

ვინც გარეჯში ერთხელ მაინც ყოფილა, ის მის გარეშე დიდხანს ვეღარ გაძლებს... ასე ფიქრობს ყოფილი მინისტრი გია ხევიაშვილი, რომელიც სავანის ხშირი სტუმარი და აქ მოღვაწე ბერების ახლო მეგობარია.

იხ. 7 გვ.

**◎ ინფორმაცია**

## კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი ბადრი ფ. გარდაიცვალა.**

**როგორც იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან ავადმყოფს დასმული ჰქონდა დიაგნოზი: თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა, მარცხენამხრივი ჰემიპარეზი, მარჯვენამხრივი ორქიტი. ექიმების პირველადი დასკვნით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის ფონზე განვითარებული გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.**

**ბადრი ფ. 2006 წლის 15 ოქტომბერს განზრახ მკვლელობის ბრალდებით იყო დაკავებული. მას 16 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.**

ინტერპრესნიუსი

საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივებს ნატო სრულად უჭერს მხარს. ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან თემურ იაკობაშვილთან შეხვედრის შემდეგ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა რობეტ სიმონსმა განაცხადა



მათქმევინეთ

# უჩვენოდ რად იმღერეთა

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“ შევიტყვე „სახელმწიფო ენის კონსტიტუციური დაცვის საზოგადოების“ დაფუძნების თაობაზე. მერჩივნა კი, ეს თვით დამფუძნებელთაგან გამეგო, ღონისძიებას დავესწრებოდი და მეტიც — იმათ რიცხვში მოვხვედრილიყავი. ვფიქრობ, მშობლიური ენის მრავალწლიანი და აქტიური ქომაგობით, თუ გნებავთ, ჭირისუფლობით, დავიმსახურე ასეთი საზოგადოების წევრობა.**

ამას თავის გამოჩენის ცდად ან პრეტენზიულობად ნუ ჩამითვლიან. ჩემსავით უფროსი თაობის წარმომადგენელთა შორის არაერთი ამგვარი ქომაგი რომ არ მეგულებოდეს, რომლებიც აგრეთვე ამ ამბის მიღმა დარჩნენ, ეგებ სულაც გავჩუმებულიყავი.

სავსებით ვიზიარებ დამფუძნებელთა შეშფოთებას, რომ ქართული ენა ახლა უმძიმეს დღეშია, რომ საოცრად შერყვნილია ტელეეკრანის ენა, რომ ქართულის ნორმებს ხელყოფს არსებითად ყველა — პრეზიდენტიდან რიგით მოქალაქეებამდე. მშობლიურ ენას როცა სამთავრობო დონეზე არ ექცევა სათანადო ყურადღება, როცა, ბოდიში და, ინგლისურად ატლიკინებული ჩვენი ხელისუფალნი არცთუ იშვიათად ასე სცოდავენ ქართულში, როცა იმასაც კი ვერ მიმხვდარან, თუ სად და როგორ „ჩამოყალიბდნენ“ — რიგით მოქალაქეებს ამ კუთხით რაღა უნდა მოსთხოვო?...

დროა, თავად საზოგადოებამ აღიმაღლოს ხმაო, — უზრძანებიათ დამფუძნებლებს. დიდხანს რომ პარლამენტში საექსკურსიოდ პედაგოგებთან ერთად მოსულ მოსწავლეთა და სტუდენტთა ჯგუფებს ენის სიწმინდეზე ვუტარებდი საუბრებს (მსმენელთ რომ ძალიან მოსწონდათ და ადგილობრივმა უფროსობამ მაინც დახურა — ეს პარლამენტის საქმე არ არისოძ; დიდხანს რომ „თბილისში“ (სანამ გაზეთი გამოსვლას შეწყვეტდაძ ვუძღვებოდი კუთხეს „რა ენა წახდეს“; ასევე დიდხანს რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იყო რუბრიკა „ვაიმე, ენავ!“ თანამგზავრი ქვერუბრიკით „ტელეეკრანის „მარგალიტები“; იგივე გაზეთი რომ არაერთხელ გამოსულა ენის სიწმინდისადმი, მეტყველების კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილებით — ეს ხმის ამაღლება ხომ არის!

რამდენია, თუნდაც „საქართველოს რესპუბლიკაში“, მშობლიური ენის დასაცავად ხმის ამმაღლებელი! მაგალითისათვის, ენათმეცნიერმა, პროფესორმა გივი ბოჯგუამ სწორედ ტელეეკრანის მახინჯ ქართულს მიუძღვნა ვრცელი პუბლიკაციების ციკლი. პროფესორი გულბათ ტორაძე მუსიკათმცოდნეა, მაგრამ მუსიკასავით გულშემატკივრობს მშობლიურ ენას. ახლა ჟურნალისტები — გიზო ზარნაძე, ზაურ ფიფია და სხვანიც რამდენჯერ გამოსულან „სრ“-ის ფურცლებზე სასარგებლო შენიშვნებით. ჰოდა, როცა ასეთ „დაცვის საზოგადოებას“ ვაფუძნებთ და პრესასაც თუ თვალყურს ვადევნებთ (უნდა ვადევნებდეთ!ძ, მოვიძიოთ, მოვიკითხოთ ენის სიწმინდისათვის სხვა „ხმალამოღებულნიც“, ხმაამაღლებულნიც და ჩავრთოთ ამ დიდ საქმეში. ისინი ნამდვილად საჭირო და სასარგებლონი იქნებიან. უფროსი თაობების უგულებელყოფა, უგულისყურობა ხელისუფლებისაგანაც კმარა!

და კიდევ: იმ დამფუძნებელ შეკრებაზე გამოსულთაგან ერთს, ჟურნალისტს, უთქვამს — **ტელევიზიები** წუთში 30-მდე შეცდომას უშვებენო; მეორეს, პროფესორს განუცხადებია — პრესაში არ არის ისეთი ბარბარიზმები, როგორიც **ტელევიზიებიდან** გვესმისო. ღმერთმანი, გასაკვირია, ზოგჯერ როგორი ანდამატი აქვს სიმახინჯეს. დაახეთქა პირველად ვიღაცამ მახინჯი ფორმა „ტელევიზიები“ და ახლა ბევრმა „აიტაცა“ და იმეორებს; არადა „ტელევიზია“ ისეთი ფართო, ვთქვათ ასე, კრებსითი ცნებაა რომ მრავლობით რიცხვს ნამდვილად არ საჭიროებს და არც მოიხდენს. ჩემს თავს არ ვენდე და ეს ეჭვი ცნობილ ენათმეცნიერს რომ გავუზიარე, დამიდასტურა. ეს ისე, სხვათა შორის...

**თამაზ ებანოიძე**

ინფორმაცია

## მთავრობის ნდობის საკითხი უნდა დაადგეს

**ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ ევროობლიგაციების საკითხთან დაკავშირებით ახალი მოწვევის პარლამენტმა მთავრობის ნდობის საკითხი უნდა დააყენოს.**

**როგორც ლადო პაპავამ განაცხადა, ევროობლიგაციებთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოება მოატყუა.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მოგვატყუა, როდესაც თებერვალში ევროობლიგაციებზე იყო საუბარი და პრემიერი სატელევიზიო გადაცემა „პრაიმტაიმში“ გამოდიოდა, მაშინ მან აღნიშნა, რომ ევროობლიგაციების ემისიის შედეგად მიღებული თანხა ენერგეტიკულ პროექტებს მოხმარდებოდა. შემდეგ პარლამენტში „მომავალი თაობების“ ფონდზე ფინანსთა მინისტრმა ისაუბრა, მოგვიანებით კი ენერგეტიკულ პროექტებზე ენერეგეტიკის მინისტრი გვესაუბრა. ბოლო-ბოლო სად მიდის ეს ფული. გაურკვეველია, რომელ ერთს უნდა დავუჯეროთ. ვფიქრობ, რომ ეს საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ახალმა პარლამენტმა მთავრობის ნდობის საკითხი დააყენოს, — განაცხადა პაპავამ.**

**მისი თქმით, ჩანს, რომ მთავრობა ენერგეტიკაში ფულის ჩადებას არც აპირებდა და ყველაფერი პიარისთვის იყო ნათქვამი.**

**— საგარეო ვალის შესახებ საქართველოს კანონში, რომელშიც გაზაფხულზე ცვლილება შევიდა, გაჩნდა ევროობლიგაციების შესახებ ჩანაწერი. იქვე გარდამავალ დებულებაში მიწერილია, რომ ეს ჩანაწერი 2008 წლის განმავლობაში არ მოქმედებს. ანუ 2008 წლის განმავლობაში მთავრობა რას უპირებს აღნიშნულ თანხებს, ამის შესახებ ინფორმაციას ჩვენ ვერ მივიღებთ ვერასდროს, რადგან კანონი მთავრობას აძლევს უფლებას ეს ინფორმაცია არ გახადოს საჯარო. რისთვის აჰკიდა მთავრობამ ქვეყანას ამხელა ვალი და რაში აპირებს ამის დახარჯვას, უცნობია. მით უფრო, რომ ეს ვალი საქართველოს მოსახლეობის, გადასახადის გადამხდელის გასასტუმრებელი იქნება. ჩვენ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, რატომ აკიდა ქვეყანას მთავრობამ ახალი 500 მლნ აშშ დოლარის ვალი, — აღნიშნა ლადო პაპავამ.**

**ევროობლიგაციების ლონდონის ბირჟაზე განთავსების შედეგად მიღებული 500 მლნ აშშ დოლარიდან 150 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში „მომავალი თაობების ფონდში“, ხოლო 100 მლნ დოლარის ეკვივალენტი „სტაბილური განვითარების ფონდში“ გადაირიცხება. ევროობლიგაციების ემისიის შედეგად მობილიზებული თანხიდან დარჩენილი 250 მლნ აშშ დოლარის გადანაწილების საკითხს მთავრობა ახლო მომავალში განიხილავს**

## რობერტ სიმონსი ასე ფიქრობს

**საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივებს ნატო სრულად უჭერს მხარს. ამის შესახებ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან თემურ იაკობაშვილთან შეხვედრის შემდეგ ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა რობეტ სიმონსმა განაცხადა.**

**— მინისტრთან კონფლიქტის ორივე ზონაში არსებული ვითარება და საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივები განვიხილეთ. ჩვენ ამ ინიციატივებს სრულად ვუჭერთ მხარს. ვიმედოვნებთ, რომ ორივე კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდება. ასევე, იმედი გვაქვს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობაც მშვიდობიანად დარეგულირდება, — აღნიშნა რობერტ სიმონსმა.**

**სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის განცხადებით კი, სიმონსთან შეხვედრაზე განხილული იყო კონფლიქტის ზონებში რუსი სამშვიდობოების შეცვლის საკითხიც.**

## „მზისა“ და „რუსთავი 2“-ის ბოიკოტის დამადასტურებელი ფაქტებს მიაწოდებენ

**ერთიანი ეროვნული საბჭო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტს ტელეკომიანია „მზისა“ და ტელეკომპანია „რუსთვი 2“-ის მხრიდან ბოიკოტის დამადასტურებელი ფაქტებს მიაწოდებს.**

**ამის შესახებ ერთიანი ეროვნული საბჭოს ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი მელაშვილმა მონიტორინგის კომიტეტის წევრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

**მისივე თქმით, არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ერთიანი ეროვნული საბჭო ყველა მათ მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე იწვევს აღნიშნულ ტელეკომპანიებს, მაგრამ ისინი ამ ღონისძიებებს არ აშუქებენ. „სწორედ ამ ფაქტების მიწოდებას ვაპირებთ მონიტორინგის კომიტეტისთვის, რათა დავამტკივოთ, რომ ამ ტელეკომპანიების მხრიდან ადგილი აქვს ბოიკოტს“.**

**ირაკლი მელაშვილის განცხადებით, ერთიანი ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა დელეგაციას მიაწოდეს ინფორმაცია იმ ზემოქმედებაზე, რაც ხდება მედიასაშუალებებზე.**

**— ინფორმაციას ოპოზიცია მონიტორინგის კომიტეტს დიდი ხანია, აწვდის. იმედია, ამჯერად გამოსწორდება ის დასკვნა, რომელსაც მონიტორინგის კომიტეტი საპარლამენტო არჩევნების შესახებ მოამზადებს, — აღნიშნა მელაშვილმა.**

## ყველაზე რეალური კანდიდატურა?..

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონის დირექტორის თანამდებობას, სავარაუდოდ, საქართველოს მოქალაქე ნატა მენაბდე დაიკავებს.**

**როგორც ჟურნალისტებს საქართველოში ვიზიტით მყოფმა ევროპის რეგიონული ორგანიზაციის დირექტორმა მარკ დენსონმა განუცხადა, 2009 წლის სექტემბერში თანამდებობას ტოვებს და ახალი დირექტორის არჩევნები გაიმართება, სადაც კენჭისყრას ევროპის 53 ქვეყნის დელეგატი აპირებს, ერთ-ერთი მათგანი კი მისი მოადგილე ნატა მენაბდეა.**

**— ყველაზე რეალური კანდიდატურა ამ თანამდებობისთვის საქართველოს მოქალაქე ნატა მენაბდეა. ჩვენი წინადადებაა, საქართველოს მხრიდან ჯანმო-ს ევროპის რეგიონული დირექტორის პოსტზე სწორედ ნატა მენაბდე იყოს წარდგენილი, — განაცხადა მარკ დანსონმა.**

**ნატა მენაბდემ აღნიშნა, რომ მას დიდი შანსი აქვს, არჩევნებზე ხმა მას მისცენ.**

## პოლონეთის დელეგაცია — სასაზღვრო პოლიციაში

**სასაზღვრო უწყებებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი დეკლარაციის ფარგლებში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში ვიზიტით პოლონეთის დელეგაცია იმყოფება.**

**სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო უწყების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილესთან, სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორთან ეკა გიგაურთან, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.**

**მათივე ცნობით, პოლონური მხარის აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობს სასაზღვრო პოლიციაში დოკუმენტების შემოწმების ლაბორატორიის ჩამოყალიბება და შესაბამისი პერსონალის მომზადება.**

## ფრანგი კოლეგები გამოცდილებას გაგვიზიარებენ

**საქართველოს სასაზღვრო უწყებას საფრანგეთის ქვემო რაინის სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი პატრიკ ვიე სტუმრობდა.**

**სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ცნობით, ვიზიტი საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა, რომელიც ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებას შორის მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.**

**ფრანგული მხარე საქართველოს მესაზღვრეებს უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში გამოცდილებას გაუზიარებს.**

**ვიზიტის ფარგლებში ფრანგი კოლეგა სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეებმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით გულუამ, პოლკოვნიკმა კობა ბოჭორიშვილმა და ეკა გიგაურმა მიიღეს.**

**პროგრამის ფარგლებში სტუმარმა სასაზღვრო პოლიციის სამმართველოები „წითელი ხიდი“ და „აეროპორტი-თბილისი“, ასევე, წვრთნისა და გადამზადების ცენტრი მონახულა.**

ინტერპრესნიუსი

დრო

● „განმიხვენით მე ბჭენი სიმართლისა, შევიდე მასშინა და აუარო უფალსა, ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ მას შინა ქორონიკონს“

◉ ის პოეტიც იყო...

# „... და შორს იქნება ჩემი ნაპირი“

***სამწუხაროდ,** აუხდა ნათქვამი რობერტ ძერიას, ვერ მოესწრო მერცხლის ნისკარტის წლევანდელ კაკუნს თავადაც აპრილში დაბადებული — როდესაც მის საფლავთან ახლობლები შეიკრიბნენ ამ მართლაც ყოველმხრივ დიდებული პიროვნების დაბადების სამოცდამერვე წლისთავის აღსანიშნავად, იგი თავის ნაპირიანად უკვე შორს იყო იმ ადამიანებისგან, რომელთაგან ბევრი საკუთარ სიცოცხლეზე მეტადაც უყვარდა...*

*რობერტ ძერიას მრავალი საინტერესო პუბლიცისტური წერილი დაბეჭდილა ამ ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს გაზეთში, მაგრამ თუ ეს დახვეწილი ინტელიგენტი და დასტურ პოეტური სულის პიროვნება ჭეშმარიტი პოეტიც იყო, მისი კოლეგებისა და ნაცნობების უმრავლესობამ არ ვიცოდით.*

*ხოლო რომ ყოფილა, ამაში, ვფიქრობთ, მკითხველი იმ რამდენიმე ლექსითაც დარწმუნდება, დღეს რომ ვთავაზობთ.*

*... 28 აპრილი ხომ მიცვალებულთა მოხსენიების დღეა...*



* * *

მოგიკაკუნებთ კარზე აპრილი
კუდმაკრატელა მერცხლის
ნისკარტით
და შორს იქნება ჩემი ნაპირი —
სადაც მიყვარდით,
სადაც მიყვარდით...

## აუხდენელი ნატვრა

ვარსკვლავებით მოიჩითა ცა და
უკვე შვიდი ათეული მიტევს.
ახლა მინდა თორმეტი წლის
ვიყო
და შურდულით ვაფეთებდე ჩიტებს.

ორღობეებს მივყვებოდე სტვენით,
თხის ჯოგივით მივდენიდე სევდას
და ყორეზე ღმერთქალივით მდგარი
მეტსახელით მეძახოდეს დედა.

ვიწვე ისევ ხობისწყალის პირას
და ვუსმენდე ძილისმომგვრელ
დუდუნს
ტალღების და მამაჩემის ხათრით
ხელებს შორის ვეწეოდე თუთუნს.

* * *

ლექსი არ არის ყუმბარა,
ლექსი არ არის აგური,
ლექსები „ოროველაა“,
„წინწყაროა“ და „ნადური“.
სულ აკრეფინეთ იები, ყამირს
ნუ გაატეხინებთ,
ლექსებით ნუ წერთ განაჩენს,
სწორ ხაზებსა და ტეხილებს.

## ასე როგორ ივლი, ბაბუ

არაო,
არ ქნაო ასე —
სულ არ მასხვლევინებ ვაზებს,
აუ! როგორ ივლი ასე
ცხოვრების ამ ტიალ გზაზე.

არაო,
მეხვეწები — ასე
ვაზს არ შეატეხო ლერწი.

შენთვის შეგულებულ ვარდზეც
ხელებს მაშვებინებ ხვეწნით.

ყვავილს ნუ დაკრეფო ბაღში,
ხელი არ ახლოო იას.
ვერ მიკადრებია გითხრა
ამას რომ ცხოვრება ჰქვია.

სიცოცხლეც ჭიდილია, ნია,
თავისით არ მოდის დილა,
თუ არ გადათელა ღამე,
არ გადააქცია ჩრდილად.

მაინც...
არ ქნაო ასე,
სულ არ მასხვლევინებ ვაზებს.
ასე როგორ ივლი, ბაბუ,
ცხოვრების ამ ტიალ გზაზე.

მე მართლა არ დავკრეფ იებს,
ვაზს არ შეატყდება ლერწი.
შენ თუ ასეთი ხარ, სული
არც ჩემი ყოფილა ბერწი.

5. 11. 2000 წ.

## ნიას, ანის, ცოტნეს

ჩემი ბავშვობა სწორედ
იქ დარჩა
ხობისწყალი და სადაც მოლია;
სადაც ზღაპარი კიდევ
ცოცხლობს და
ევკლუცება ტალღებს თოლია.

მალე დიდ გზაზე გასაცილებლად
ყრმობის დღეები აქაც მოვლიან,
ახლა კი ვდგევარ
ქედმოდრეკილი
და მთებს გავცქერი ჩემებრ
თოვლიანს.

რბიან წამები და გაქცეულებს
ზანტად გასცქერის მზერა
მოცლილი.
უცებ დავბერდი და მაპატიეთ
გზა ვერ გიჩვენეთ ნათლით
მოსილი.

27. 11. 2003 წ.

## ნუ შემომითვლი

ოდესმე ჩემი თუ მექნა რამე,
მხოლოდ ის გრძელი უმთვარო
ღამე.
თუ ფიქრი შენი აღარ მენდობა,
ნუ შემომითვლი, ბაბუ, შენდობას.

25. 02. 2005 წ.

## არ მასვენებს

კახეთი და იმერეთი,
ჯავახეთი. გურია
აქეთ ქართლი, იქ კლარჯეთი —
ყველა მშობლიურია.

სულ სხვა არის ოღონდაც
უკვდავების სამანი,
სადაც მიმოზების ტყეა,
ყვავის იასამანი.
ეს კოლხეთის ცაა ლურჯი,
ლაზეთია, ჭანეთი,
ხობისწყალის, ტეხურასი
და ზღვის სიკამკამეთი.
არ მსმენია, ისე ვიცი
არწივების გაზმული
ყივილი და ცხრა მთას შორის
ჩაკირული მამული.
„ოდოია“ არ მასვენებს,
„სისატურას“ ძახილი...
სულაც გუშინ გათლილი
მიქრის ჩემი მარხილი.

10. 10. 2004 წ.

## ლექსი ანიმაციური

ანი,
ბანი,
განი,
დონი —
დიან ჟამნი, რზიან დრონი
ყოვლად გამოჩინებულნი,
ყოვლად სამაგალითონი.

იყო ნია,
გაჩნდა ანი —
ერთი ერდოს ორი ბანი.
ისევ ნია,
ისევ ანი —
აწმყოსი და ხვალის დრონი —
ფრიად გამოჩინებულნი,
დია სამაგალითონი.

როცა გიმზერს თვალი გიშრის
და გეხება თმა ციური,
სულ ადვილად იწერება
ლექსიც ანიმაციური.

ისევ ანი,
ისევ ბანი,
ისევ განი,
ისევ დონი —
ფრიად გამოჩინებულნი,
დია სამაგალითონი.

9. 06. 2003 წ.

## სიკვდილს

მე შენ როდის გთხოვდი რამეს,
მე შენ როდის გაწუხებდი,
როდის იყო საშიშარი
ჩემთვის შენი მარწუხები.

მიწა მქონდა ქალამნებად,
ცა მეხურა თუშის ქუდად,
მუდამ სავსე მქონდა გული,
როგორც თოვლის პაპის გუდა.

ვერ მიყელე, ვერც მოგვერდი,
გადმომიღე ვერც კისრულით,
გული დამრჩა შეუმკრთალი
რვაჯერ რვისგან დაისრული...

მე შენ როდის გთხოვდი რამეს,
მე შენ როდის გაწუხებდი?
ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო
ჩემთვის შენი მარწუხები.



◉ სულიერება

# დავითგარეჯას უდაბნოს მიზიდულობის ძალა აქვს

(მეხუთე გვერდიდან)

სწამს, რომ ამ მადლიან მიწას უდიდესი მიზიდულობის ძალა აქვს და სწორედ ეს ძალა ეწევა სტუდენტობიდან მოყოლებული, როცა ის ეროვნული მოძრაობის პერიოდში მონასტერს პირველად ეწვია. ახალგაზრდები, მაშინ სამხედრო პოლიგონის გაუქმების მოთხოვნით გამოდიოდნენ, რის შემდეგაც კომპლექსის უდიდესი ნაწილი განადგურდა!

ნახევრად დანგრეული სავანე ბოლო ხანებში ბადრი პატარკაციშვილის დაფინანსებით აღადგინეს. ახლა კომპლექსის მთავარი ტაძრის — ფერისცვალების სახელობის ეკლესიის რესტავრაცია მიმდინარეობს, სადაც წმინდა დავითის განსასვენებელი და წმინდა ლოდის ნაწილებია.

სტუმრად მოსულებს მამა ზაზა ჩვეული სიმშვიდით გვხვდება და იმ იდუმალი ლეგენდების შესახებ მოგვითხრობს, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ყველა მორწმუნე აღტაცებაში მოჰყავს. ამ ჭეშმარიტების შეცნობის შემდეგ კი ხვდები რამდენად დიდი და მოწყალეა უფალი!

> **გარეჯის უდაბნოში ბევრი ქვეწარმავალია, მათი სიმრავლის მიუხედავად, ამბობენ, რომ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმე დაეგესლოთ**

მომსვლელთათვის შესასვლელი კარი ამ სიტყვებით იღება: „განმიხვენით მე ბჭენი სიმართლისა, შევიდე მასშინა და აუარო უფალსა, ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ მას შინა ქორონიკონს“. ამ წარწერასთან ერთად ქვაზე ამოჭრილია არწივი, რომელსაც კლანჭებით თევზი უჭირავს. ეს სიმბოლიკა იმ სასწაულზე მოგვითხრობს, როცა ამ უდაბნოს ბერებს ერთ ბზობა დღეს საჭმელი შემოაკლდათ, მოულოდნელად მათ წინ თურმე არწივი დაეშვა და ორაგული დაუგო.

ამბობენ, დავითგარეჯში სამჯერ მოლოცვა იერუსალიმში წმიდა მიწაზე ერთხელ მოლოცვას უდრის. ეს თქმულება იმ სასწაულმოქმედ ქვასთანაა დაკავშირებული, რომელიც წმიდა დავითმა იერუსალიმში მოსალოცად წასულმა წამოიღო მას თავდაპირველად ქრისტეს საფლავიდან სამი ქვა წამოეღო, ღმერთმა იერუსალიმის პატრიარქს სიზმარში ანგელოზი გამოუცხადა და დაავალა, დასწეოდნენ დავითს და ორი წილი ქვა დაებრუნებინა, რათა იერუსალიმს მთლიანად არ წართმეოდა მადლი. მოძღვრისთვის კი მხოლოდ ერთი ქვა გამოეტანებინათ „სახსოვრად და საუწყებლად სარწმუნოებისა მისისა“... ასეც მოხდა და საქართველოში ჩამოტანილი ეს სასწაულმოქმედი ქვა ყველა სნეულს კურნავდა, ვინც რწმენით შეეხებოდა. კომუნისტების მოსვლის დღიდან დღემდე იგი საპატრიარქოში ინახება. სიწმინდე მხოლოდ დავითგარეჯობის დღესასწაულზე მოაქვთ დავითის საფლავზე და დღესაც უამრავ მორწმუნეს კურნავს.

აქ ერთ-ერთ მღვიმეში წყალი წვეთებად მოედინება, მას „დავითის ცრემლები“ ეწოდება. ეს წმინდა წყალი ხალხის სიმრავლესთან ერთად მატულობს. საკვირველი კი ის არის, რომ ზამთარში, როცა მეტი ნალექია დღეში, მხოლოდ სამოცი ლიტრი გროვდება, ზაფხულში კი ორასი. ეს წმინდა წყალი უამრავ დაავადებას კურნავს, განსაკუთრებით მხედველობას შველის.

გარეჯის უდაბნოში ბევრი ქვეწარმავალია, მათი სიმრავლის მიუხედავად, ამბობენ, რომ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმე დაეგესლოთ.

ამ გამოქვაბულ ქალაქში 19 ეკლესია და 5000 სენაკია. უცნაურია კლდეში კვეთის ფორმა და სახელები: ბერთუბანი, ჩიჩხიტური, ლოდოს რქა, თეთრი და შავი სენაკები, ნათლისმცემელი, აქვეა 6 ათასი წამებული ბერის ნიშიც, რომ ლებიც შაჰ-აბასმა 1616 წელს აღდგომის ტაძარში აღდგომის ღამეს ლიტანიობისას აწამა.

აქვეა ქართლ-კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის მიერ დაარსებული სამეფო სენაკი, საიდანაც საიდუმლო გვირაბები გაედინება, სამონასტრო კომპლექსი სამეფო მონასტერი იყო. აქ ბერ-მონაზვნებს ქართლ-კახეთის უფლისწულის აღზრდის უფლება ჰქონდათ. XVII საუკუნის დამლევს სავანეში ლიტერატურული ცენტრიც მუშაობდა. ბიბლიოთეკაში ახლაც ინახება უძველესი ხელნაწერი წიგნები და ტიბიკონები. დავითგარეჯში ცხოვრების პერიოდში დაწერა დემეტრე მეფემ ღვთისმშობლის სადიდებელი „შენ ხარ ვენახი“.

ამბობენ, რომ სასწაულებით სავსე ქვის ქალაქში მზის ჩასვლა და ღამის მოსვლაც კი ზღაპრულ პეიზაჟს ქმნის. პეიზაჟს, რომლის დახატვა და აღქმა ბევრ ნიჭიერ მხატვარს გაუჭირდება.

**ლელა მანაველიშვილი**

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №111

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.



# ქართული ემიგრაციის დიდი მარტვილი

## მიხაკო წერეთლის უცნობი წერილის პირველი პუბლიკაცია

**მიხაკო წერეთელი, ვისი მეცნიერული მემკვიდრეობაც საკუთარ სამშობლოში ათეული წლების დაგვიანებით დამკვიდრდა, უდიდესი მადლიერებით იხსენებს ძველ ამბავს, როცა მას, ანარქისტული იდეებით გატაცებულ ახალგაზრდა კაცს, ექვთიმე თაყაიშვილმა უსაყვედურა და ურჩია: ამ ბუნდოვანებისთვის თავი დაეღწია და ნამდვილი სწავლა-განათლება დაეწყო.**

„ჩამოყალიბებული ანარქისტი", როგორც ჯერ კიდევ გიმნაზიაში უწოდებდა თავს, ეცადა ცნება „ეროვნული" ანარქიზმის იდეასთან დაეკავშირებინა **(„ჩემი იდეალი უფრო მაღალი იყო")...**

* * *

მას მერე, რაც საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის პარიზის უნივერსიტეტიდანაც გარიცხავენ, ბ-ნი ექვთიმეს საყვედურს გაიხსენებს და ავტორი შრომისა: „მუშათა მოძრაობა საფრანგეთში", ლონდონში, ასირიოლოგიის შესასწავლად მიეშურება. ამგვარ ცვლილებებს ზოგჯერ აზროვნების რეკონსტრუირებას უწოდებენ... მიხაკო წერეთელი, წმინდა მეცნიერულ შრომებში ჩაფლული, ასირიოლოგიის კურსს ჰალდერბერგის უნივერსიტეტში ამთავრებს. 1920 წელს კი ივანე ჯავახიშვილის მოწვევით საქართველოში ბრუნდება.

მიხაკო წერეთლის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით **გრიგოლ რობაქიძე** განმარტავს, რომ **„მამულიშვილობა" უფრო მაღალი ცნებაა, ვიდრე პოლიტიკოსობა ან თუნდაც, მეცნიერული მოღვაწეობა...** მაგრამ რას მივაწეროთ, მიხაკო წერეთლის რამდენიმე საიდუმლო მოგზაურობა გერმანიის წყალქვეშა ნავით, რითაც დამოუკიდებელი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია და იარაღი შემოჰქონდათ... პოლიტიკოსობას, მეცნიერებას თუ მამულიშვილობას?.. იქნებ ყველაფერს ერთად...

საქართველოს ინტერვენციის მერე მიხაკო წერეთელი ისევ ევროპაშია, უკვე ბრიუსელის უნივერსიტეტის ასირიოლოგიის კათედრაზე, შემდგომ ბერლინის უნივერსიტეტში ქართული ენისა და მწერლობის კათედრას აარსებს...

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეა და როგორც **„ბედი ქართლისას"** რედაქტორი **კალისტრატე სალია** აღნიშნავდა: „ღირსეულად და უკომპრომისოდ იცავს საქართველოს უფლებებს, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს. მიხეილი ბოლოს შლის კომიტეტს და თავის თანამშრომლებთან ერთად წყვეტს ყოველგვარ კავშირს გერმანულ ხელისუფლებასთან".

**„არიან მოვალეობანი ადამიანისა,** — იტყვის მ. წერეთელი, — **უმაღლესნი ყოველმეცნიერულ და მსგავს მოვალეობათა. მოვალეობანი მოქალაქისა საზოგადოების წინაშე, მოყვასისა მოყვასის წინაშე და ცხოვრების გზა იმისა განვლილია სრული ღირსებით, ვისაც ძალუძს განსაზღვრულ დროს შესაფერი მოვალეობა აღასრულოს, თუ გინდ ეს მოვალეობის აღსრულება სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვდეს".**



მიხაკო წერეთელი, მთელი თავისი არსით, წარსულისკენ იყო მიბრუნებული. წიგნში „ერი და კაცობრიობა" ჩანდა, რომ მისი იდეალი არ არის მარტო დამოუკიდებლობის მოპოვება. ის ძველი საქართველოს რენესანსზე ფიქრობდა და სიტყვა „ძველი" არა უკვე გარდასულთან, არამედ ქმნადობასთან იყო დაკავშირებული...

**„ქართველნი გულმავიწყნი არიან, გულმავიწყნი, რადგან უდარდელნი... მაგრამ ეს რომ არ გვქონოდა, შესაძლოა ვერ გადაგვეტანა ამდენი უბედურება, საუკუნეებში თავს დატეხილი,** — 1948 წელს, ჟენევის ემიგრანტულ მანსარდებზე, „მოგონებათა ბარდულის" წერას იწყებს გრიგოლ რობაქიძე და მიხაკო წერეთლის ცხოვრების უკანასკნელ წლებს იმგვარად აღწერს:

*„ახლა მიხეილი ბავარიაში იმყოფება, სადღაც მივარდნილ კუთხეში. ზის ალბათ, პატარა ოთახში, ვითარც განდეგილი სენაკში. სადღაა ის შეხვედრანი? სადღაა ის ხალისი? ზის განმარტოებული და სდუმს, როგორც მარტვილი. დაღონებულია, დამწუხრებული, სდუმს. მხოლოდ გულისცემას უგდებს ყურს — (გული სასწაულს მოელის ყოველთვისძ. იღვინთება: აგონდება საყვარელი ვაჟი, ერთადერთი შვილი, ომის ორომტრიალში უკვალოდ დაკარგული, ხმაური მოესმის, კარისაკენ მიაქცევს თვალს. იწმენდს ცრემლებს, თავს იმაგრებს კიდევ. შემდეგ მაგიდას მიმართავს. იქ ჟურნალი დევს ასირიოლოგიისა. ფურცლავს მჭკნარი თითებით. კითხულობს, გადადის ნელინელ ათასწლეულებში. ახლა საქართველოს ძირებში იძირება მკვლევარი („განდეგილი" ახლა „ივერიონის" მარტვილს მაგონებს, გიორგი მთაწმინდელს — სახეც მოუგავს ახლა, მოხუცებულობაში, შეუდარებელ სახეს ქართველი წმინდანისა, ლოცვებში შინაგან ანათებულისაძ. შემდეგ წვდება ტექსტს „ვეფხისტყაოსნისა". ერთხელ კიდევ გადახედავს მას. შემდეგ გადასინჯავს კვლავ ტექსტის გერმანულ პროზაულ თარგმანს, მის მიერვე შესრულებულს. შრომისათვის თავსდაურთვია სიტყვარი — ამასაც განიხილავს ხელმეორედ. ბოლოს შეუდგება ტექსტს „ჟამთააღმწერელისა" — სწორუპოვარს სამატიანო მწერლობაში. იფესვება „ქართლის ცხოვრებაში": ღრმა ჩახედვით და ნელად აღვივებული სიყვარულით. „ცხოვრებაი ქართლისაი" ზედაშეა მისთვის..."*

* * *

მიხაკო წერეთლის მიუნხენიდან პარიზში გაგზავნილი წერილი **მერი წერეთლისადმი** (რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პარიზის ქართული ემიგრაციის ლიდერის — **კოკი დადიანის** მეუღლეაძ ვფიქრობ, იგივე განწყობილებების გაგრძელებაა, რასაც ასეთი გულისტკივილით გვიამბობს გრიგოლ რობაქიძე. წერილში რამდენჯერმე ნახსენებია „მია" — მათი შვილი მია (ქეთევანძ დადიანი. წერილის ხელნაწერი დედანი კი კოკი დადიანის შვილიშვილის, ქალბატონ თათული ღვინიაშვილის საოჯახო რელიკვიათა შორის ინახება.

მიხაკო წერეთლის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით გრიგოლ რობაქიძე განმარტავს, რომ „მამულიშვილობა" უფრო მაღალი ცნებაა, ვიდრე პოლიტიკოსობა ან თუნდაც, მეცნიერული მოღვაწეობა...

### *მიხაკო წერეთელი — მერი წერეთელს*

***მიუნხენიდან — პარიზში***

***ძვირფასო დაო და ბ-ნო მერი!***

***გუშინწინ გადმომცეს შენი წერილი და ვერ წარმოიდგენ, როგორ გამეხარდა, რომ მოგგონებივარ. მე უკვე ღრმად მოხუცებული, გაუბედურებული და უპატრონო, უცხო კარზედ ვარ და დამოკიდებული უცხოს გუნებისაგან, — თუ როდემდე მოითმენს კიდე ჩემს ყოფნას მასთან და მოვლას ყოვლად უმწეო მოხუცებულ კაცისას.***

***შენ ჭკუიანი ქალი ხარ, ჩემო მერი და მიმხვდარი ხარ, თუ რა საშინელ მდგომარეობაშია დღეს მთელი ქვეყანა, განსაკუთრებით ევროპა. ნეტა, ეს სახელმწიფო კაცებს ესმოდეს, თვარა სხვას ვის უნდა მოსთხოვოთ ასეთი რაიმე გაგება! არ არის სიმხეცე და სიბინძურე, რაითაც არ იყოს სავსე დღეს ყოველი საზოგადოება ევროპაში და ამისი შეცვლა, ჩემი ფიქრით, არც მოხდება ძალიან დიდხანს. არც იდეაა დიდი და ახალი კაცი დიდი, რომ ეს შესაძლებელი ჰყონ. რაც რამ და ვინც იყო დიდი, ყველაფერი და ყველა მოსპეს ომის შემდეგ... და სანამ რაიმე ცვლილება მოხდებოდეს, რუსი აგერ დგას და ამ დაუძლურებულ ევროპას როცა უნდა მაშინ ჩაჰყლაპავს და მთლად მოსპობს და გახრწნის, და მერე, ამის შემდეგ რა იქმნება, ეს ღმერთმა უწყის მხოლოდ.***

***რაც შეეხება ჩვენი ენის წარმოშობას, უცხოელებმა ძალიან ადვილად იციან ხოლმე ასეთი კითხვების დაყენება. ფრანგებს ჰგონიათ, მაგალითად, რომ როგორც მათი ენაა წარმომდგარი ლათინურისაგან, ისე სხვაც რომელიმე ენის მსგავსი უნდა იყოს უსათუოდ. ერთი უნდა ჰკითხო მაგათ: ლათინური საიდან მოდის? გეტყვიან, ის ინდო-ევროპიულ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო. ხოლო ეს ჯგუფი საიდან მოდის? ამაზედ კი მათაც ენა ჩაუვარდებათ და ვერაფერს გეტყვიან. ასეა ჩვენი, ქართული ენის ამბავიც: იგიც ერთს ჯგუფს ენათა ეკუთვნის: ქართულ-მეგრულ-ჭანურსვანურ ჯგუფს. ხოლო საიდან მოდის ეს ჯგუფი, არ ვიცით, შეგვიძლია მხოლოდ რომელიმე უძველესი მკვდარი ენის ნათესაობა ვნახოთ მასთან, მაგრამ ამით საკითხი არ წყდება, მხოლოდ ჯგუფს ემატება ახალი წევრი, უკვე გამქრალი... და როგორც ის არ ვიცით, თუ საიდან მოდის ბერძნულ-ლათინურ-გერმანულ-კელტურ-სლავიანურ-ინდოური და სხვა ენათა ჯგუფი, ისე არ ვიცით, თუ საიდან მოდის ქართული ჯგუფი. — აი, ეს პასუხი მიეცით ხოლმე შენ და მიამ, თუ ვინმემ გკითხოთ რამე ქართული***



მერი წერეთელი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში

***ენის შესახებ და გაჩერდებიან მაინც, თუ ვერ მიხვდებიან, რაშია საქმე, განსაკუთრებით ფრანგებისათვის არის ასეთი საკითხის დაყენება ადვილი, რადგანაც იციან, რომ მათი ენა ლათინურიდან მოდის. ნამდვილად კი მაგათი ლათინური მაგათთვის უცხო ენაა, ნამდვილი ენა უნდა ყოფილიყო კელტური, გალლური, რომელიც დაუკარგავთ და ლათინური შეუთვისებიათ მის მაგივრად. მერმე გერმანელებსო ამ მათ ლათინურში თავისი ელემენტები შეუტანიათ და თვით ერისათვის და მისი უცხო ენისათვისაც ახალი სახელი მიუციათ: (ფრანგული, ფრანგი). აბა, ჰქონდეთ მაგათ შერჩენილი მაგათი ნამდვილი ენა: კელტური, გალლური და გეკითხათ, რომელ ენას ჰგავს მათი ენა, ისინიც ვერ გაგცემდნენ სწორ პასუხს, ან და იმ პასუხს, რაც ზემოთ ვთქვი, და ბოლოს იმას ვერ გეტყოდენ, თუ საიდან მოდიან მათი ენა და მისი მონათესავე სხვა ენები.***

***ასე, რომ ძვირფასო მერი, იყავი კარგად და სიმრთელით. მომიკითხე სიყვარულით მია და სხვა შენი შვილები. ბედნიერი იყო ჩემთვისაც ის დღე, როდესაც ჩემ ძვირფას და დაუვიწყარ მეგობართან კოკისთან ერთად ვიყავით და ვსაუბრობდით. შენ მას შენი შვილები მაინც გაგონებენ და მარტო არ ხარ, გყავს შვილები და პატრონნი, შემხედვარე და ღმერთმა ინებოს თქვენი ყველას დიდი ხნის და ბედნიერი ცხოვრება. მე კი მარტო დავრჩი ამ ცოდვილ ქვეყანაზედ. ალბათ ღმერთმა დამსაჯა სამართლიანად და ამიტომ ვიტან ამ მარტოობას და ველი, როდის მიიბარებს ის ჩემს ტანჯულ ცოდვილ სულს.***

***შენი მარად პატივისმცემელი და კეთილისმსურველი ძმა —***

***მ. წერეთელი.***

* * *

დაბადებიდან 70 წლის იუბილეზე, ქართულმა ემიგრაციამ მიხაკო წერეთელს საიუბილეო მილოცვა გაუგზავნა. მრავალი ფიქრის აღმძვრელია ეს მცირე ტექსტი:

„მწარეა ხვედრი ქართველ მამულიშვილთა, მაგრამ განსაკუთრებით მწარეა შენი ბედი, საყვარელო მიხეილ!

უცხოეთში, შორს მშობლიური სახლ-კარიდან, განმარტოებული ხვდები შენს იუბილეს.

შენი ძვირფასი ერი სალამს ვერ გიძღვნის და შენი დაბადების დღეს ვერ დღესასწაულობს...

ჩვენც, შენი ახლობლები, შორს ვართ შენგან და არ შეგვიძლია გავათბოთ ჩვენი შენდამი უსაზღვრო სიყვარულით...

ნუგეშად მაინც მიიღე ის, რომ უცხოეთში მყოფმა ქართველმა მოღვაწეებმა ყველა წრისა დიდი პატივისცემით და თბილი გრძნობით 70 წლის შესრულება მოგილოცეს და დღეგრძელობა გისურვეს.

ერთ დღეს საქართველოც გეტყვის სიტყვას.

ბედი ქართლისა ჯერ არ გადაწყვეტილა.

* * *

**მიხაკო წერეთელი გარდაიცვალა მიუნხენში, 1965 წლის 2 მარტს, „ქართლის ბედის გადაწყვეტის" მტკივნეულ და დღემდე უსასრულო მოლოდინში...**

**ნინო ხოფერია**



**მედეა თავის გარშემო განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიდა. არასოდეს უცხოვრია სიცარიელეში. შეეძლო ყოველი დღე ახალი სილამაზით და შინაარსით დაეტვირთა**



# ცას კიდევ ერთი ვარსკვლავი მოსწყდა...

გზის კურთხევის ღამე დგებოდა და ჩვენმა მეგობარმა, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე **მედეა ნონეშვილმა** მარადისობის კარი შეაღო, – ყველასათვის მოულოდნელად გული გაუჩერდა... სულ მოძრავი, შემართული და სიკეთის ქმნად მუდამ მზადმყოფი, ნათელში სრულიად მშვიდად გადავიდა, ფორიაქის გარეშე, უდრტვინველად, თითქოს სწორედ ასე უნდა მომხდარიყო...

მედეა თავის გარშემო განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიდა. არასოდეს უცხოვრია სიცარიელეში. შეეძლო ყოველი დღე ახალი სილამაზით და შინაარსით დაეტვირთა. გვანებივრებდა იმითაც, რომ ყველა ჩვენს ყოფით პრობლემას, სიხარულს თუ სულიერ ტკივილს გულწრფელად განიცდიდა და იზიარებდა... ყოველთვის მზად იყო მოსასმენად...

თითქმის უცდომელი გახლდათ ადამიანთა შეფასებისას, რასაც არ ფარავდა და მთელი თავისი ემოციური ბუნებით გამოხატავდა.

არავის არასოდეს უვიწყებდა სიკეთეს... წლების მერეც კი იხსენებდა ზოგჯერ ისეთ წვრილმანებს, რომ გაკვირვებით და ამავე დროს, დიდი სიამოვნებით ვუსმენდით.

ათეული წლების მანძილზე არ ივიწყებდა, არაერთგზის იმეორებდა სამადლობელს ჩვენი ყოფილი დირექტორის ბატონი **გიორგი ციციშვილისადმი,** რომელმაც ლიტერატურის ინსტიტუტში მიიღო და საშუალება მისცა თავისი მეუღლის, გამოჩენილი ქართველი პოეტის **იოსებ ნონეშვილის** მემკვიდრეობა საფუძვლიანად და მეცნიერული კუთხით შეესწავლა... წლების განმავლობაში გვიკითხავდა ბატონი იოსების ცხოვრების და ურთიერთობების ისტორიებს... ცდილობდა მისი შემოქმედება საკუთარი ხედვით შეეფასებინა. უნდოდა აეხსნა, თუ როგორ აისახა პოეზიაში ბიოგრაფიული დეტალები და ამ თვალსაზრისით სირთულეებსაც აწყდებოდა...

გვახსოვს, როგორი სიამაყით გვიჩვენებდა ამერიკელი, ინგლისელი, რუსი, ყაზახი, აზერბაიჯანელი თუ სომეხი მწერლების წერილებს იოსებ ნონეშვილისადმი და იოსებ ნონეშვილზე.

მოგონებებს, ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, ლექსების ვარიანტებს ცალკე კონვერტებში აწყობდა, ახარისხებდა, არქივის სისტემაში მოჰყავდა.

**ვფიქრობთ, განსაკუთრებით საინტერესოა მედეას მოგონებები, არაჩვეულებრივი ლირიზმით, ნიუანსების გრძნობით და სწორი აქცენტებით გადმოცემული – მეუღლესთან გატარებული წლები...**

მედეა უდიდეს პატივს მიაგებდა იმ ლიტერატურულ გარემოს, რომელშიც იოსებ ნონეშვილს უხდებოდა ყოფნა.

მოკრძალებით საუბრობდა **გალაკტიონზე, გიორგი ლეონიძეზე, სიმონ ჩიქოვანზე,** სხვებსა და სხვებზე...

ის სუბიექტურობაც ძალიან უხდებოდა, როცა გამოხატავდა, რომ ადამიანურობის, ჰუმანურობის თუ პოეტის ეტალონი მაინც საკუთარი მეუღლე იყო. ყოველდღიური ყოფა და ახლობლური დისტანცია მის ხედვაში ურთიერთობის ხიბლს არ აუბრალოებდა.

უაღრესად მადლობელი იყო და ხშირად იმეორებდა: **„ჩემი იოსები", „იოსებმა მასწავლა", „ამას იოსები ასე გააკეთებდა"** და ა. შ. და ა. შ.

რამდენი მშვენიერი ლექსი უძღვნა იოსებ ნონეშვილმა მეუღლეს. ერთგან რაღაც სხვაგვარი ნაღველით წერდა:

**„წავალ, წამყვება მე შენზე**
**დარდი"...**

...მაგრამ მოხდა ისე, რომ მათი ურთიერთობა, პოეტის სიკვდილის შემდეგ, რაღაც სულ სხვა განზომილებაში გადაიზარდა.

28 გრძელი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც პოეტი ნონეშვილი აღარ ამშვენებს ქართველ მწერალთა პარნასს, მაგრამ მედეამ ლიტერატურულ საზოგადოებას, ახლობლებსა და მეგობრებს დაუმტკიცა, რომ იგი ჭეშმარიტი მეორე ნახევარი იყო ბატონი იოსებისა. საქართველოს მზის ქვეშეთში მედეა აღმოჩნდა მისი სიცოცხლის გამგრძელებელი: შექმნა იოსებ ნონეშვილის მართლაც უნიკალური მუზეუმი, სწორედ კახეთში და არა თბილისში; შეადგინა და დასტამბა პოეტის ნაწერებისა და მის შესახებ არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია; იუბილესთან დაკავშირებით გამოსცა ალმანახი, მიძღვნილი ოსებ ნონეშვილისადმი... როგორ ბრწყინავდა და რა შესანიშნავი სიტყვა თქვა ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში, 2000 წელს, ლია ნადარეიშვილის რედაქტორობით დასტამბული კრებულის „დედაო საქართველოვ!.." წარდგინებაზე. რა სულგრძელად დაგვასაჩუქრა ამ ჩინებული წიგნით... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... ხშირად ესწრებოდა მედიკო პოეტისადმი მიძღვნილ საღამოებს და ჩვენც გვიზიარებდა იმ სიხარულს, რითაც თავად იყო აღსავსე.

სამი სახატე და სალოცავი ჰქონდა: ბათუმი, სადაც ბავშვობა გაატარა, კახეთი, რომელიც სამშობლო იყო მისი მეუღლისა და თბილისი, რომელთანაც დაკავშირებული იყო დიდებული ოჯახით, მთელი შეგნებული ცხოვრებით. მოულოდნელად, უცებ ბათუმში აღმოჩნდებოდა, გაიხედავდით და ჩამოსული სტუმრები მიჰყავდა კახეთში, მუზეუმის დასათვალიერებლად. არ იღლებოდა, ოღონდაც კი ბ-ნი იოსების სახელს ძველებურად ეკაშკაშა ქართულ მიწაზე.

მედეას ყოფით გემოვნებას და ესთეტიკურ გრძნობებს ყველანი ვითვალისწინებდით...

ოჯახიც იდეალურად აწყობილი დატოვა...

ვაჟი – საქართველოს ისტორიის უზადო სპეციალისტი, ყოველმხრივ სამაგალითო სანდრო ნონეშვილი.

რძალი – თამუნა, მისი შვილიც იყო და საუკეთესო მეგობარიც...

ხშირად გვიჩვენებდა შვილიშვილების – საბას და მარიამის ნახატებს. გვიამბობდა როგორი მუსიკალურები, ჭკვიანები და „სხვანაირი" ბავშვები იყვნენ...

ამაყობდა მრავალრიცხოვანი მეგობრებით... სხვადასხვა თაობის ადამიანებისთვის, ყველასათვის, იყო უაღრესად თანამედროვეც და საინტერესოც...

ამაყობდა, რომ ვირტუოზი მუსიკოსშემსრულებლის პატარა ირმა-მარიამ გიგაურის ნათლია გახლდათ...

გამუდმებით საუბრობდა, რომ ჯერ კიდევ უამრავი რამ ჰქონდა გასაკეთებელი „მისი იოსებისთვის"...

**„არ მომეკრა შენთვის თვალი,**
**სიზმრად მაინც გნახავდი,**
**ხარ ყინწვისის ანგელოსი,**
**თეთრ ღრუბლეპში ნახატი"...**

მართლაც, გამაოგნებლად ლამაზი იყო, ლამაზად იცხოვრა და ლამაზად განშორდა ამქვეყნიურ სამყაროს. საქართველოს, ქართული პოეზიის ცას თითქოს მოსწყდა პოეტის მუზა, როგორც ერთი მოკაშკაშე ვარსკვლავი... გემშვიდობებით ჩვენო, უძვირფასესო მედიკო, შენი უფროსი და უმცროსი მეგობრები:

**ირმა ჩხეიძე, თაკო ჩარკვიანი, ცისანა გენძეხაძე, ნუნუ ასათიანი, ჟუჟუნა ქვლივიძე, ზოია ცხადაია, ნინო ხოფერია, თათული მასხარაშვილი, ციალა კარბელაშვილი, ტუია ჭყონია, თამრიკო ციციშვილი, თამუნა იაშვილი.**



## მედეა ნონეშვილის ჩანაწერებიდან

**2008 წლის აპრილში იოსებ ნონეშვილს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. სახელმწიფოს თუ ლიტერატურული საზოგადოების საერთო დუმილში ისევ პოეტის მეუღლის ხმას მოვუსმინოთ...**

მშობლები ადრე დაელუპა... სკოლის პედაგოგებმა გადაწყვიტეს დედის მაგივრობა გაეწიათ იოსებისთვის... ვარო ვარდიაშვილის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: **ფილოლოგი, დამსახურებული პედაგოგი, უქმარშვილო, აღმზრდელი ობოლი ბავშვის – იოსებ ნონეშვილისა...**

* * *

არც სკოლის დამთავრების შემდეგ დაჰკლებია მზრუნველობა. მახსოვს, რა სიხარულით იგონებდა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების წელს. მეტყოდახოლმე: მედეა, როცა გამოცდებიდან გამოვდიოდი, იქვე ვხედავდი შვილებთან მოფუსფუსე მშობლებს, მაგრამ არც მე მაკლდა ყურადღება: ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემი საყვარელი მასწავლებლები: ვარო ვარდიაშვილი, თამარ ხელაშვილი და სკოლის დირექტორი პარმენ ქაჯაია მეგებებოდნენ და შუბლს მიკოცნიდნენ...

* * *

როცა სულ, სამუდამოდ წახვედი, დატოვე საყვარელი ოჯახი, წიგნები, მეგობრები, ბარათები, ხელნაწერები, ერთი წლის შემდეგ, დაუკითხავად შევაღე მიტოვებული შენი კაბინეტი, საიდანაც ყოველდღე სიცოცხლე გამოდიოდა...

ყველაფერი ისევე დამხვდა, როგორც დატოვე, თითქოს მტვერიც კი არ მიკარებოდა. საწერი მაგიდა, მშობლების სურათი... შენ ხომ ძალიან გიყვარდა დედა. მშობლები ადრე დაკარგე. ერთი წელი რომ შეგისრულდა, მამა აღარ გყავდა, დედა სკოლის ასაკში გამოგეცალა. სახლიდან არ გადიოდი მშობლების სურათის ამბორის გარეშე... და შენ ამას მალვით აკეთებდი. მეც გერიდებოდი, თითქოს ვერაფერს ვხედავდი. მოგზაურობაში არასოდეს წასულხარ დედის საფლავის ნახვის გარეშე. მოწყვეტდი პაწაწინა ფოთოლს და თან მიგქონდა.

მაგიდაზე ჩვენი შვილის სანდროს და ჩემი სურათი შევნიშნე. ორივე ბედნიერები, გალაღებულნი შემოგცქეროდით... ყველა ნივთს თვალი გადავავლე, ყურადღებით დავათვალიერე. როგორი მოწესრიგებული და თავმოყრილი გქონია თურმე ყველაფერი...

* * *

– 30 დეკემბერი წავიკითხე კალენდარზე. ეს დღე შენს ცხოვრებაში ყველაზე მწარე დღე იყო. დედის გარდაცვალების დღე... ხშირად იხსენებდი დედასთან ბოლო ვიზიტს საავადმყოფოში. იმ წელს ძალიან ციოდა თურმე. ძველი პალტოთი მიხვედი დედასთან შენს მასწავლებელ ვარო ვარდიაშვილთან ერთად... დედაშენმა შენ აღმზრდელ მასწავლებელს ვარო ვარდიაშვილს ჩააბარა შენი თავი. მან შეასრულა დედის თხოვნა. ბოლომდე გიპატრონა.

დეკემბერში, არამიანცის საავადმყოფოდან მიაბარე დედა კუკიის სასაფლაოს (მეტი საშუალება შენ არ გაგაჩნდა). მრავალმა წელმა ჩაიარა მისი სიკვდილის შემდეგ.

მახსოვს, დეკემბრის სუსხიანი დღე იყო. ერთად ავედით კუკიის სასაფლაოზე. თოვლის ნამქერს თითქმის დაეფარა წარწერა. დავიწყე გაწმენდა. საფლავის ქვაზე ფეხსაცმლით აღმოვჩნდი. უცებ ქვემოთ დავიხიე. ფეხსაცმელგახდილი, წინდებით იდექი და მეხმარებოდი. თავი მაღლა ვერ ავიღე, დარცხვენილი, უსიტყვოდ წამოვდექი. მივხვდი, გატკინე გული.

სიჩუმე მე დავარღვიე.

– რატომ არ მითხარი, ფეხზე გამეხადა? – შევეკითხე.

– გაცივდებოდი. – მიპასუხა მან.

* * *

შემოდგომის მზიანი დღეა ფოთლებით მოფენილ სიონის ტაძრის ეზოში. 6 ოქტომბერია – იოსების გარდაცვალების დღეა... ვიდექი წმინდა მარიამის ხატის წინ, სანთლით ხელში და კარის მიღმა იოსებს ვეძებდი. უცებ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს იოსები გვერდით მედგა და ორივე ერთი ფიქრით ვლოცულობდით. **ვგრძნობდი, როგორ გადმოდიოდა სიცოცხლის ძალა ჩემში, რამაც უნდა შემაძლებინოს ვიცხოვრო ამქვეყნად და ბოლომდე ვატარო ის სიყვარული და სითბო, იოსები 30 წლის მანძილზე რომ მჩუქნიდა – ჯერ ნორჩ გოგონას, მერე ყმაწვილ ქალს და შემდეგ მანდილოსანს... მადლობა ყველაფრისათვის...**

# უცხოური პრესა

ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც მიეძღვნა საქართველოში სიტუაციას, დამთავრდა უშედეგოდ: მისი შედეგების მიხედვით რეზოლუცია არ ყოფილა მიღებული



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## მოსკოვი გააფრთხილეს

**ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც მიეძღვნა საქართველოში სიტუაციას, დამთავრდა უშედეგოდ: მისი შედეგების მიხედვით რეზოლუცია არ ყოფილა მიღებული. ამავე დროს, თბილისის მხარდამჭერი სპეციალური კომუნიკეს მისაღებად გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი. იმ ქვეყნების აზრი, რომლებიც შედიან გაეროს გენერალური მდივნის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფში და რომლებიც ასე დემონსტრაციულად გამოვიდნენ საქართველოს წინაალმდეგ, შეიძლება შევაფასოთ, როგორც „შავი ლაქა" რუსეთის მისამართით.**

შეგახსენებთ, რომ უშიშროების საბჭო თავის საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა თბილისის ინიციატივით და შეეხებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დავალებას მთავრობის მიმართ შეემუშავებინათ „საგნობრივი წინადადებანი" აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის შესახებ. ფონი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა სხდომა, გაამძაფრა 20 აპრილის ინციდენტმა, როდესაც აფხაზეთის თავზე ჩამოაგდეს საქართველოს უპილოტო მზვერავი-თვითმფრინავი „ჰერმეს-450". თბილისმა ამაში რუსეთი დაადანაშაულა. წინა დღით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, აგრეთვე უკრაინამ, მოუწოდეს მოსკოვს უარი თქვას განზრახვაზე დაამყაროს პირდაპირი ურთიერთობანი სოხუმთან და ცხინვალთან. რაც ბევრი ქართველი და დასავლეთელი პოლიტიკოსის აზრით, იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი აღიარება.

უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა დახურულ რეჟიმში. მისი დამთავრების შემდეგ გაეროში რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, რომ თბილისის პოზიცია, რაც იმას გულისხმობდა, რომ თითქოს საქართველოს აქვს უფლება აფხაზეთის თავზე განახორციელოს მზვერავი თვითმფრინავების ფრენა, დაადასტურა მხოლოდ უშიშროების საბჭოს ერთმა წევრმა. წინა დღით საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ „აფხაზეთის თავზე დაფრინავდნენ, ფრენენ და კვლავაც იფრენენ საქართველოს თვითმფრინავები" და აღნიშნა, რომ თბილისს დარჩა კიდევ 38 უპილოტო საფრენი აპარატი. ამავე დროს, რუსი სამხედრო ექსპერტების აზრით, საქართველოს დარჩა მხოლოდ ერთი უპილოტო საფრენი აპარატი. სხვათა შორის, „ჰერმეს-450" სულაც არ არის უწყინარი. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მისი დახმარებით, მაგალითად, შეიძლება მოვახდინოთ შორსმსროლელი არტილერიის კორექტირება. საკმარისია ითქვას, რომ ამ აპარატებს დღემდე იყენებს ისრაელის თავდაცვის არმია.

ჩურკინის სიტყვებით, რუსეთის მხარე თავის არგუმენტაციას აგებდა იმაზე, რომ მზვერავი თვითმფრინავის ფრენა კონფლიქტის ზონის თავზე, არის დარღვევა მოსკოვის შეთანხმებებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა, მათ შორის, 1808 რეზოლუციისა, რომელიც მიღებულია მიმდინარე წლის 15 აპრილს. მასში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ უსაფრთხოებისა და შეიარაღებათა შეზღუდვის ზონებში არ უნდა წარმოებდეს არავითარი „არასანქცირებული სამხედრო მოქმედება". ეს ფორმულირება, როგორც ამტკიცებენ რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებაში, მიღებულია სწორედ აფხაზეთის თავზე ქართული სამხედრო ავიაციის ფრენების გახშირებასთან დაკავშირებით.

ამ დროს ოთხი ქვეყანა — დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი — გაეროს ჩარჩოებს გარეშე ღებულობს სპეციალურ კომუნიკეს, რომლითაც მოუწოდებენ რუსეთს „გააუქმოს ან არ შეასრულოს" გადაწყვეტილება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ის რომ, ასეთ განცხადებას აკეთებენ ქვეყნები, რომლებიც შედიან გაეროს გენერალური მდივნის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფში, ბევრ რამეზე მეტყველებს. უწინარეს ყოვლისა კი, იმის შესახებ, რომ შესაძლებელია გადაისინჯოს საკითხი აფხაზეთში სამშვიდობოების ყოფნის ფორმატის შესახებ.

ვიტალი ჩურკინმა „ოთხეულის" მოთხოვნას „გადაჭარბებული" უწოდა და განაცხადა, რომ რუსეთი არ შეასრულებს მათ მოთხოვნას. აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა კი განაცხადა, რომ უარს იტყვის დიალოგზე კომუნიკესათვის ხელმომწერ ქვეყნებთან კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში მათი პროქართული პოზიციის გამო.

„ეს კომუნიკე არაფერს არ ნიშნავს, — უთხრა „ნეზავისიმაია გაზეტას" სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მდივანმა იული კვიცინსკიმ. — ეს, უბრალოდ, დიპლომატიური და ფსიქოლოგიური ზეწოლაა. ყველამ იცის, რომ უშიშროების საბჭოს, სადაც რუსეთს აქვს ვეტოს უფლება, არ შეუძლია გამოიჩინოს რაიმე მხარდაჭერა საქართველოს ინიციატივისადმი. ამიტომ ღებულობენ გადაწყვეტილებას უშიშროების საბჭოს ფარგლებში. დასავლეთი სარგებლობს იმით, რომ ჩვენ არ ვაღიარეთ ეს რესპუბლიკები კოსოვოს შემდეგ. და ეს არის პასუხი ჩვენი პრეზიდენტის მიერ გადადგმულ მეტად ზომიერ ნაბიჯებზე".

ინა საენკო

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## გაერომ საქართველოს მხარი არ დაუჭირა

**გუშინ ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭო შეიკრიბა სასწრაფო სხდომაზე. „მესაჭეობდა" საქართველო. თბილისი მეტად უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ რუსეთმა გადაწყვიტა, მხარი დაუჭიროს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თავის მოქალაქეებს. საქართველომ ეს მიიჩნია, როგორც მისი სუვერენიტეტის ხელყოფა. ამას გარდა, ქართველები ამტკიცებენ, რომ 20 აპრილს მათი მზვერავი უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო რუსეთის გამანადგურებელმა აფხაზეთის თავზე, რასაკვირველია, აღშფოთებული არიან ამ ფაქტის გამო. ანდა, დიპლომატიური ენით რომ ვილაპარაკოთ, შეშფოთებული არიან.**

ამ შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე, რომელიც შეეცადა უშიშროების საბჭოს წევრებისათვის ეცნობებინა ეს ყოველივე თავის სასარგებლოდ. „თანაც, საკმაოდ ულტიმატური ფორმით", თუ დავუჯერებთ გაეროსთან რუსეთის მუდმივ წარმომადგენელს ვიტალი ჩურკინს.

— ჩვენ მოგვიწია მკაცრად გაგვეფრთხილებინა ისინი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ეს იყო პროვოკაციული ნაბიჯი. ასეთი საქციელი სიკეთემდე არ მიგვიყვანს, — თქვა ჩურკინმა სხდომის შემდეგ.

მუდმივმა წარმომადგენელმა განმარტა, რომ არის მოსკოვის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ, რომელიც მიღებულია 1994 წლის 14 მაისს, რომლის თანახმადაც საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების ფრენა კონფლიქტის ზონის თავზე აკრძალულია. რუსეთს ამ ნაწილში უფრო დაუჯერეს, ვიდრე საქართველოს.

უშიშროების საბჭომ ასევე არ გამოხატა რაიმე გაკიცხვა რუსეთის მიმართ ორ უღიარებელ რესპუბლიკასთან მოსკოვის კავშირურთიერთობათა განმტკიცების შესახებ. ამაზე ილაპარაკეს მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა. ეგრეთ წოდებულ „ოთხთა კომუნიკეში" მათ გამოხატეს „ღრმა შეშფოთება რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ოფიციალური კავშირურთიერთობის დამყარების შესახებ" და მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას „გააუქმოს ან არ შეასრულოს ეს გადაწყვეტილება". შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ სწორედ ეს ქვეყნები გამოდიოდნენ თავგამოდებით სერბეთისაგან კოსოვოს გათიშვისა და ამ ამბოხებული მხარის დამოუკიდებლობის აღიარების სასარგებლოდ.



ანდრეი სმეხოვი

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

## დაიწყო ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება

**საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის უკანასკნელი მოქმედების გამო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სიტუაციის განხილვას, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის წარმომადგენელთა ერთობლივ განცხადებას რუსეთის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით თბილისში აღიქვამენ, როგორც აღმაფრთოვანებელს. კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე მიიჩნევს, რომ დასავლეთი აცნობიერებს რუსეთის პოლიტიკის მთელ საშიშროებას.**



„უშიშროების საბჭოში ყველა გამომსვლელი მთლიანად იზიარებდა ქართული მხარის შეფასებასა და მოთხოვნებს და დოკუმენტი, რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ჯგუფის სახელით, აშკარად მიუთითებს სრულ კონსენსუსზე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ საფრთხეს უქმნის რუსეთის პოლიტიკა კონფლიქტის მოწესრიგებას, და როგორი სახიფათო და გამომწვევი იყო რუსეთის მხრიდან ქართული საფრენი აპარატის განადგურების ინციდენტი. ჩვენ ამას აღვიქვამთ, როგორც შეიარაღებულ აგრესიას", — აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თეიმურაზ იაკობაშვილმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნები, თანაც დიდი ქვეყნები, განცხადებაში „ცალმხრივად გმობენ რუსეთის მოქმედებას საქართველოს მიმართ, მისი აგრესიის ფაქტებს და მოუწოდებენ მას გააუქმოს თავისი გადაწყვეტილებანი და მხარი დაუჭიროს საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმას".

არის ასეთი აზრი, რომ უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვაც, მიღებული განცხადებაც ლაპარაკობენ იმის სასარგებლოდ, რომ დაიწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესი. „ეს არის საქართველოს ტერიტორიების დაბრუნების საწყისი ეტაპი. გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი არა მხოლოდ შეფასებათა თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ასეთი მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში მთელი საქართველო იზეიმებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას", — აღნიშნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ შოთა მოლაშხიამ.

ღამით თბილისში ჩამოვიდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ნატოს სპეციალური წარმომადგენელი რობერტ სიმონსი. მოელიან, რომ საქართველოში მისი ორდღიანი ვიზიტის მსვლელობის დროს განხილული იქნება საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა საკითხიც. ნატოს მაღალი რანგის ჩინოვნიკი შეხვდება საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს, ქვეყნის თავდაცვის მინისტრს, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს. თავად სიმონსმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ ეს ორგანიზაცია გადადის საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის რეჟიმზე. „ჩვენ ვისაუბრებთ საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივებზე", — განაცხადა მან.

ИНФОРМАЦИОННОЕ АГЕНТСТВО РОСБАЛТ

# უცხოური პრესა

**საქართველო კვლავ მოითხოვს რუსი სამშვიდობოების ქვედანაყოფების გამოყვანას აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. ხუთშაბათს ნატოს წარმომადგენელმა რეგიონში ასევე ეჭვი გამოთქვა რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელის, მიუკერძოებლობაში**

**◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## საქართველო და ნატო რუსეთს წინასწარაკვიატებაში სდებენ ბრალს



**საქართველო კვლავ მოითხოვს რუსი სამშვიდობოების ქვედანაყოფების გამოყვანას აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. ხუთშაბათს ნატოს წარმომადგენელმა რეგიონში ასევე ეჭვი გამოთქვა რუსეთის, როგორც მშვიდობისმყოფელის, მიუკერძოებლობაში. ამავე დროს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა უპასუხისმგებლო უწოდა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ნატოს გენერალური მდივნის წარმომადგენლის რობერტ სიმონსის განცხადებას.**

„ჩვენ ვიწყებთ ინტენსიურ მოლაპარაკებას საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან კონფლიქტის ზონაში რუსი მშვიდობისმყოფელების მიზანშეწონილობის შესახებ", — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უცხოეთის ელჩებთან შეხვედრის დროს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ მოუწოდეს რუსეთს, გადასინჯოს გადაწყვეტილება უღიარებელ რესპუბლიკებთან — აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ეკონომიკური დაახლოების შესახებ, რომელსაც თბილისი საქართველოს ტერიტორიის „ანექსიას" უტოლებს.

„ვფიქრობ, სამართლიანი იქნებოდა გვეთქვა, რომ ჩვენი ზოგიერთი მოკავშირე რუსეთის ამასწინანდელ გადაწყვეტილებებს მიიჩნევს არასამართლიანად, ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის ნეიტრალობას, რაც ხელს უშლის კონფლიქტის დარეგულირების პროცესს", — განაცხადა სიმონსმა თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

გაეროში რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მოთხოვნები შეაფასა, როგორც „გადაჭარბებული" და აღნიშნა, რომ რუსეთი მათ არ შეასრულებს.

კომუნიკე იმის შესახებ, რომ მოუწოდონ რუსეთს ეს ზემოაღნიშნული ზომები, მიღებული იქნა გაეროს ჩარჩოს გარეშე. როგორც რუსეთის სააგენტოები აღნიშნავენ, რუსეთი არ იყო ინფორმირებული დოკუმენტის მომზადების შესახებ. გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს სიტუაციის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

მაგრამ დოკუმენტს მხარი დაუჭირა ნატოს ხელმძღვანელობამ. „ეს მეტად სერიოზული დოკუმენტია და ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ კომუნიკეში აღნიშნულ განცხადებებს", — აღნიშნა რობერტ სიმონსმა.

სიმონსის განცხადებას გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების საერთო ევროპული დეპარტამენტის დირექტორი სერგეი რიაბკოვი. „რუსეთის როლის შელანძღვა ამ კონფლიქტების დარეგულირებაში, სულ ცოტა, უპასუხისმგებლობაა", — მოჰყავს რიაბკოვის სიტყვები ინტერფაქსის სააგენტოს.

„შეიძლება მხოლოდ მწუხარება გამოვთქვათ ასეთი შეფასებების გამო, ვინაიდან ისინი ასახავენ სინამდვილის სრულ უგულებელყოფას, — განაგრძო მან. რუსეთის გარეშე მოწესრიგება შეუძლებელია. არსებულმა ფორმატებმა ამ დარეგულირებისა დაადასტურა თავისი ეფექტიანობა".

„საქართველო არ გადადგამს არც ერთ ნაბიჯს, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს რეგიონში მშვიდობასა და უსაფრთხოებას. რუსეთის უკანასკნელი მოქმედებანი და გადაწყვეტილებანი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარების შესახებ, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით, ეჭვქვეშ აყენებს რუსეთის, როგორც ამ კონფლიქტების რეგულირებაში ნეიტრალური შუამავლის, როლს. ეს არა მხოლოდ ჩვენი პოზიციაა, არამედ საქართველოს მეგობარი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაც არის", — განაცხადა სააკაშვილმა.

ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სურს გაზარდოს გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის რიცხოვნობა საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში.

სიმონსმა, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ნატო არ ისწრაფვის მიიღოს მონაწილეობა აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში ნებისმიერი ფორმით. „არ შემიძლია ვთქვა, რომ ნატო ეძებს უშუალო როლს მშვიდობისმყოფელობაში ან კონფლიქტის გადაწყვეტაში ამ რეგიონში", — მოჰყავს მისი ციტატა რეიტერის სააგენტოს.

BBC RUSSIAN.com

## აღმოსავლეთი სოლიდარობს

**„ახალი ევროპელები", მიუხედავად იმისა, რომ ისინი კარგად მოეწყვნენ ნატოსა და ევროკავშირის ფრთებქვეშ, ზურგს არ აქცევენ ქვეყნებს, რომლებიც შორს აღმოსავლეთში მდებარეობენ და, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკურ გაურკვევლობაში იმყოფებიან ძველებურად.**

გუშინ პრაღაში ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნებმა — პოლონეთმა, ჩეხეთმა, უნგრეთმა და სლოვაკიამ განაცხადეს, რომ უკრაინამ და საქართველომ უნდა დაიწყონ მზადება ნატოს წევრობისათვის პირველივე შესაძლებლობის დროს. ბუქარესტის სამიტზე აპრილის დასაწყისში გერმანიამ და „ძველი ევროპელების" სხვა ქვეყნებმა დაბლოკეს ამერიკის მცდელობა ამ ქვეყნებისათვის მაპის მინიჭების შესახებ. ალიანსს განზრახული აქვს, გადასინჯოს ეს საკითხი წლის ბოლოსათვის. ამის გარდა, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს უკრაინის განცხადებას ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ლიტვამ განაცხადა, რომ დაბლოკავს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყებას. ლიტველებს აშფოთებთ რუსეთის გაზრდილი ზეწოლა საქართველოზე. ვეტოს უფლება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აღვნიშნოთ: რუსეთმა შეიძლება პასუხი აგოს ცუდი ქცევისათვის.

ეს გაფრთხილებაც დროულია. ნატოს გაფართოების შესახებ თავის შეკავების გადაწყვეტილება, რომელიც ბუქარესტში მიიღეს და რაც აღმოჩნდა ერთგვარ დარტყმად პროდასავლური ორიენტაციის ხელისუფლებისათვის საქართველოში, ფრთები შეასხა კრემლს. გასულ კვირას ვლადიმერ პუტინმა გადადგა ახალი ნაბიჯები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ახალი ურთიერთობების დაწყების შესახებ. ეს შეიძლება იყოს რუსეთის აგრესიის პრელუდია



ოფიციალური გამოყოფისა და შეიძლება ომისაც. ამის დამატებით რუსეთმა დაადასტურა თავისი ვეტოს უფლება უკრაინისაგან მისი ორბიტის დატოვების მცდელობაზე.

THE WALL STREET JOURNAL.

## ქართული ოპოზიცია მეთვალყურეებს არ ენდობა

**საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე თბილისი გაივსო მონიტორინგის ჯგუფებით. ხუთშაბათს თბილისში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში რობერტ სიმონსი. მას განზრახული აქვს შეხვდეს საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. პროფილური საკითხების გარდა, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტის მოწესრიგებასთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან, რობერტ სიმონსი განიხილავს აგრეთვე ქვეყანაში წინასაარჩევნო სიტუაციას.**

მოლაპარაკების ამგვარი გაფართოება დაკავშირებულია იმასთან, რომ ნატოს ამასწინანდელ სამიტზე ბუქარესტში საქართველოს ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს ამოცანა: 21 მაისს უზრუნველყოს პარლამენტის გამჭვირვალე და პატიოსანი არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნატოში გაწევრებისათვის მოქმედების გეგმის მინიჭება მიმდინარე წლის დეკემბერში შეიძლება დავიწყებული იქნეს.

არჩევნებს საქართველოში დასავლეთი მეტად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. და ეს გასაგებიცაა. მათ მიერ გამოზრდილი რევოლუციური ყმაწვილი, თბილისში 7 ნოემბერს მასობრივი გამოსვლების დროს მოწყობილი დარბევის შემდეგ, მეტად არასიმპატიურად გამოიყურება, ოპოზიციური ტელეარხის დახურვამ კი მისი სრული დისკრიმინაცია მოახდინა. ამჯერად უკვე საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვენ რეაბილიტაციას.



რობერტ სიმონსი გახდა დასავლეთის ერთ-ერთი წარმომადგენელი იმ მრავალრიცხოვან სტუმართა შორის, რომლებიც ამ დღეებში ეცნობიან საქართველოში წინასაარჩევნო სიტუაციას. ოთხშაბათს თბილისში ჩამოვიდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია საქართველოს შესახებ მომხსენებლის მათიას იორშის მეთაურობით. საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წარმომადგენლები შეხვდნენ აგრეთვე ხელისუფლებას, ოპოზიციას და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. გარედან ისე ჩანს, თითქოს მათიას იორში საქართველოში ატარებს უფრო მეტ დროს, ვიდრე თავის სახლში. სულ რაღაც ერთი კვირის წინათ თბილისში იგი ჟურნალისტებს უზიარებდა თავის შეშფოთებას ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ღრმა წინააღმდეგობების შესახებ: „მათ შორის ნდობის დეფიციტია".

ნდობის ოფიციალური დეფიციტი არსებობს არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, არამედ ოპოზიციასა და საერთაშორისო მეთვალყურეებს შორისაც. მათიას იორშის დელეგაციისადმი ყველაზე მეტად კრიტიკულადაა განწყობილი ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი. მან უკვე მიმართა საპარლამენტო დელეგაციას თხოვნით, შეცვალონ იორში ვინმე სხვა პიროვნებით, ვინაიდან იგი „აშკარად მონაწილეობდა ხელისუფლების უხამსობაში".

ოპოზიციონერები საყვედურობენ ევროდეპუტატებს იმის გამო, რომ მათ დაინახეს, თუ მმართველი პარტია როგორ წარადგენდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სიებს, თანაც არღვევდა კანონს, მაგრამ შენიშვნა დამრღვევებისათვის არ მიუციათ. „ნინო ბურჯანაძემ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე, რითაც მოახდინა „ნაციონალებისაგან" კანდიდატების სიის ფორმატის შეცვლა".

რეგისტრაციის ვადის გასვლამდე დარჩენილ რამდენიმე წუთში ისინი, ფაქტობრივად, ვერ მოასწრებდნენ შეედგინათ ახალი სია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საერთაშორისო მეთვალყურეების თანდასწრებით მოაწყო წარმოდგენა, როცა უარი გვითხრა ეჩვენებინა ჩვენთვის „ნაციონალების" წინასაარჩევნო სია. მხოლოდ შუაღამისას, პოლიციის მეშვეობით შეიტანეს მათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში ახალი სია", — აცნობა ჩვენს გაზეთს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ხაინდრავამ. ლეიბორისტულმა პარტიამ მომხდართან დაკავშირებით მიმართა სასამართლოს მოთხოვნით, მოიხსნას არჩევნებიდან მმართველი პარტია.

მაგრამ, მიუხედავად საერთაშორისო მეთვალყურეებისადმი პრეტენზიებისა, თბილისელი ანალიტიკოსები სწორედ მათ მიიჩნევენ ლამის მთავარ და ერთადერთ საიმედო ძალად. ასეთ დასკვნას ექსპერტები აკეთებენ იმასთან დაკავშირებით, რომ საპარლამენტო ასამბლეის წევრები მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლებისაგან უზრუნველყოს სუფთა პარლამენტის არჩევნები. მიხეილ სააკაშვილის გუნდს მისი იგნორირება იოლი არ დაუჯდება — წინ ნატოს წევრობაა.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ газета

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.

# კულტურა

ალმავლობის მრავალი ხანა გაიარა ქართულმა ეროვნულმა კულტურამ და უკვდავი მხატვრული ნიმუშების „თვითმშობიარობაც“ დაიწყო არქიტექტურაში, ჭედურ ხელოვნებაში, ტიხრულ მინანქარში, კედლის მხატვრობაში, რელიეფსა და ბარელიეფში; მინიატიურა თუ დეკორატიული ხელოვნება, პოეზია და ლიტერატურა, სიმღერა და ცეკვა ხომ ქუხილით მოსდევდა გვერდიგვერდ...



ფესტივალი

## „აღდგომიდან ამაღლებამდე“

**ამ სახელწოდების ფესტივალმა თავისი არსებობის მცირე ხნის მიუხედავად პოპულარობა მოიპოვა. მისი წინამორბედი ორი ფესტივალის წარმატებამ განსაზღვრა სწორედ მისი მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდისა და აკაკი რამიშვილის ფონდ – ტრადიცია და ინოვაციის (თავმჯდომარე მანანა დავითაშვილი) მიერ დაფუძნებული ეს ფესტივალი ყოველწლიურია და იგი იწყება აღდგომის შემდეგ – ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში და გრძელდება ამაღლების დღესასწაულამდე. იგი ემსახურება ახალგაზრდების დაინტერესებას ტრადიციული და კლასიკური ხელოვნებით, უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა შემოქმედების პოპულარიზაციას სამშობლოში და ქართული კულტურით დაინტერესებულ უცხოელ შემსრულებელთა შემოქმედების წარმოჩენას საქართველოში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აზრით: „სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდების ნაწილი თანამედროვე კულტურასთან ბრმა მიმბაძველობის გამო, აქტიურად ითვისებს ფსევდოკულტურასაც. აუცილებელია მომავალი თაობის აღზრდა უნიკალური ქართულ კულტურასა და მსოფლიო კლასიკურ ხელოვნებაზე დაყრდნობით, რომ მათ შემდეგ თვითონ გააკეთონ სწორი არჩევანი ცრუ და ნამდვილ ხელოვნებას შორის“.



მომავალი თაობის შემოქმედებითი ტალანტის გამოვლენის და საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო ძალების ასპარეზი იქნება წლევანდელი რიგით მესამე საერთაშორისო ფესტივალიც, რომელიც ამჯერად ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II დაბადებიდან 75 წლისთავს. იგი თბილისში 1 მაისს დაიწყება და ექვს საკონცერტო საღამოს მოიცავს, შემდეგ კი ამაღლების დღესასწაულამდე, ტრადიციით გაიმართება ორი გასვლითი კონცერტი საქართველოს რეგიონებში: გურჯაანში 18 მაისს და მესტიის რაიონის სოფელ ლატალში 3 ივნისს.

წლევანდელი ფესტივალის სამხატვრო კონსულტანტია ქალბატონი ლიანა ისაკაძე. საბედნიეროდ, გამოჩენილი მევიოლინე მარტო კონსულტანტობით არ შემოიფარგლება. იგი თავისი მონაწილეობითაც დაამშვენებს ამ დღეებს. მასთან ახალი შეხვედრის მოლოდინი კიდევ უფრო ამაღლებს საფესტივალო განწყობას.

საფესტივალო საღამოებში მრავალი შემსრულებელი მონაწილეობს, რომელთა ნაწილს კარგად იცნობს თბილისელი მსმენელი, ნაწილსაც ახლა გაიცნობს. ფესტივალი გაიხსნება პირველ მაისს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში „ბავშვების ხელოვნებით“, რომლის მონაწილეები იქნებიან თბილისის I და II ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლების, თბილისის №21, ქუთაისის №1 სამუსიკო სკოლების მოსწავლეები, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები: „რუსთავი“, „ლაშარელა“, „ნაბადი“.

შემდეგ დღეს – ახალგაზრდების ხელოვნებას უმასპინძლებს ეროვნული მუსიკალური ცენტრი. ბეთჰოვენისა და ბრამსის ნაწარმოებებს ააჟღერებენ ხატია ბუნიათიშვილი (ავსტრია), თამარ ლიჩელი (თბილისი), ირაკლი ცხადაია (გერმანია) და გიორგი ხარაძე (საფრანგეთი), ე. მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანხლებითა და ნიკა მემანიშვილის დირიჟორობით.

ვოკალურ მუსიკას დაეთმობა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის სცენა 4 მაისს. ამ დღეს მსმენელთა წინაშე წარსდგებიან ნანა ქავთარაშვილი (იტალია), ქეთევან ქემოკლიძე (იტალია), და თბილისის საოპერო თეატრის სოლისტები: თემურ გუგუშვილი და სულხან გველესიანი.

კარგა ხანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობს თბილისელი პიანისტი ელიშერ სავიცკი. ერთი საღამო სწორედ მის ხელოვნებას დაეთმობა. პროგრამაშია მოცარტის, ფრანკის, პროკოფიევისა და სკრიაბინის ქმნილებები.

თბილისურ საღამოებს დააგვირგვინებს ქართველ მევიოლინეთა გალაკონცერტი, რომელიც ეძღვნება პროფესორ ლეო შიუკაშვილის დაბადების 100 წლისთავს. ლიანა ისაკაძის პროექტში მონაწილეობენ: კონსტანტინე ვარდელი, გიორგი ბაბუაძე, ნინო მელიქიშვილი, ზაზა ფურცელაძე და რასაკვირველია ლიანა ისაკაძე. ამ საღამოს იგი ეროვნულ ორკესტრსაც უდირიჟორებს. პროგრამაშია ვივალდის, ბახის, ვენიავსკის, შოსონის, ვიეტანის, ბლოხის, ლოზოდას ნაწარმოებები.

გურჯაანში, 18 მაისს გამართულ კონცერტში თბილისიდან წვეულ მუსიკოსებთან ერთად გურჯაანის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც გამოვა.

ლატალში, მესტიის რაიონის ამ ულამაზეს სოფელში დასრულდება ფესტივალი. ადგილობრივ ანსამბლ „ლატალთან“ ერთად აქ ანსამბლი „შავნაბადაც“ იმღერებს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

მოგითხრობთ შედევრებზე

## დავით კაკაბაძე: იმერეთი — დედაჩემი, 1918 წ.



ავტოპორტრეტი

**ალმავლობის მრავალი ხანა გაიარა ქართულმა ეროვნულმა კულტურამ და უკვდავი მხატვრული ნიმუშების „თვითმშობიარობაც“ დაიწყო არქიტექტურაში, ჭედურ ხელოვნებაში, ტიხრულ მინანქარში, კედლის მხატვრობაში, რელიეფსა და ბარელიეფში; მინიატიურა თუ დეკორატიული ხელოვნება, პოეზია და ლიტერატურა, სიმღერა და ცეკვა ხომ ქუხილით მოსდევდა გვერდიგვერდ...**

XIX საუკუნის ბოლოს ქართულ ეროვნულ სამყაროს მოევლინა გენიალური ფერმწერი ნიკო ფიროსმანაშვილი (მისი ასობით შედევრი რომ არ განადგურებულიყო, უთუოდ მსოფლიოს ერთ-ერთი ცალკე ცივილიზაცია იქნებოდა – საოცრებათაგანი... მაგრამ, ქართული მიწის, მზის და სამყაროს პირმშომ ნიკო ფიროსმანაშვილმა, დიდი ფანჯარა გაალო სრულიად ახალი ფერწერული ხელოვნებისა და უცნაური შუქი მოფინა მარტო საქართველოს კი არა, მთელ მსოფლიოს და აქედან ჯანსაღად აიბარტყნენ ახალი კულტურის მოვლენები: დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი და კიდევ რამდენიმე სხვა. ფიროსმანაშვილის ფერწერის ჯადოთი შეპყრობილებმა, თავიანთი გმირული და დაუღალავი შრომით გამოძერწეს მსოფლიო მნიშვნელობის ინდივიდუალური ხელოვნება. მაგრამ ჩვენს გარეშეც არსებობს ამ გარემოების საერთო აზრი. დავით კაკაბაძე, ნიკო ფიროსმანაშვილამდე რომ მოვლენოდა ქართულ გარემოს, უთუოდ შექმნიდა წმიდათაწმიდა ქართულ ფერწერას, რა სახით და რა ფორმით – მხოლოდ უფალმა იცის...

დავით კაკაბაძის აზროვნების, აღქმის და თვალთახედვის მაგნიტი, მხოლოდ ეროვნული აზროვნებით და ქართული ცივილიზაციის ფანჯრიდან იხედებოდა: მართალია, პარიზში მან აბსტრაქტული ხელოვნების ნიმუშები შექმნა, მაგრამ ისიც შინაგანად ქართულია, ეროვნულია თავისი უხილავი ხიბლით და არომატით, ეროვნული კაპილარებითაა ნაქსოვი მისი მთლიანი შემოქმედების უზარმაზარი ფარდაგი... დავით კაკაბაძე მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნებას გაუმთლიანდა, მაგრამ მხატვარი არნახული სიჯიუტით მიისწრაფოდა დამოუკიდებელი, ღრმად ეროვნული და ინდივიდუალური ხელოვნებისკენ და შეიქმნა დავით კაკაბაძისეული სრულიად ახალი ფერწერა და გრაფიკა „იმერეთი“, იქვე ბატონი დავითი რომელ თემასაც შეეხება, ნატურმორტი იქნება ეს, კომპოზიცია თუ პორტრეტი, შეუდარებელია ყველგან; ასევე, აბსტრაქტული ხელოვნების დარგში შექმნა ვრცელი სერიები, განსაკუთრებით პარიზული პერიოდი, რომელიც პარიზის მაშინდელი ახალი ხელოვნების მოწინავე მხატვრების გვერდით დგას. მხატვარმა დიდი ხელოვნება დატოვა თეატრალურ ხელოვნებაშიც და შექმნა მრავალი სპექტაკლის განუმეორებელი დეკორაციები. ღრმად კაკაბაძისეულია მისი მაღალმხატვრული გრაფიკა, როგორც იმერული, პარიზული, ძველი თბილისის და სვანეთის მოტივების სერიალი. წამით მინდა თქვენთან ერთად შევყოვნდე მხატვრის „იმერეთი – დედის“ პორტრეტთან. ამ პორტრეტულ შედევრ-სურათში ქართული ეროვნული ფერწერის კულტურის ყოველი ღირსება და ჯადოსნური ნიუანსია ჩაქსოვილი; უძველესი დროიდან დღემდე ნებისმიერი ერის დედის სახე იკითხება აქ, მაგრამ მაინც საოცრად მშობლიურია, შენია, ეროვნულია, ქართულია. მთლიანი ქართველი დედის ულრმესი და უკეთილშობილესი ხასიათია აქ ჩასახული (ჩემ დედასაც მაგონებს ძალიან), რომლის მთლიანი ამოკითხვა არც ისე ადვილია, რათა მაღალი და დიდი ხელოვნებაა. მოჭრილი ხის კუნძზე ზის დედა, მარად მოფუსფუსე, იქვე ახალგაზრდა ატოტვილი ხე, ზეცაში ატყორცნილა, სურათის ფონზე მთელი იმერეთი – საქართველო მოჩანს... კოსმიური ელფერი ადევს ყოველივეს. სურათი მთლიანობაში საკვირველი ზემიწიერებითაა დატენილი და ამქვეყნიური მიწიერი ძაბვა უკიდურესობამდეა გახსნილი. იმერული ოდის, სამზადის, ბეღლის, მთლიანი კოპწიად მოვლილი ეზოს, მდიდარი ყანების, ბაღა-ბაღჩის, მინდვრის, წყალუხვი მდინარეების, მრავალფეროვანი რბილი და საამო ამინდის, სიხარულის და სევდის, ნეტარების და ტანჯვის, უსასრულო შრომის და გარჯის მთლიანი განწყობილებათა გალერეაა ამ სურათში თავმოყრილი...



ფილიგრანულადაა შესრულებული პორტრეტის სახის თუ ჩაცმულობის ყოველი დეტალი, მაგრამ სურათის ყოველი მონაკვეთი, მაღალმხატვრული ჯადოთია შემოსილი. იშვიათად, მსოფლიოს ხელოვნების საგანძურში მოიძიებოდეს აგრე სიყვარულით და თავისებური ოსტატობით შექმნილი დიდი მხატვრული დონის, დედის პორტრეტი, თავისი მკვეთრი ინდივიდუალიზმით. ამ სურათის ერთ პერსონაშია შეკუმშული, უხსოვარი დროიდან დღემდე და უსასრულოდ მომავლის, დედის პორტრეტის სახე... მხოლოდ ასეთი ბუნების დედებს ძალუძთ შეგვინარჩუნონ ქართული ეროვნული მაღალზნეობრივი მომავლის საზოგადოება...

**რეზო ადამია,**
**სახალხო მხატვარი.**

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.

ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოუვიდათ ჩვენს ჭაბუკ ფალავნებს ბულგარეთის დედაქალაქში, სადაც ვასილ და გეორგი ილიევების მემორიალი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. კვარცხლბეკზე ასასვლელად მასპინძლებთან ერთად ქართველები, უნგრელები, თურქები, რუმინელები, სლოვაკები და ჩეხებიც იბრძოდნენ. რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ წარმომადგენლობით ტურნირში ჩვენებმა 5 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს



◉ ჭიდაობა

## „ჯვაროსნებმა“ სოფია გაძარცვეს

**ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოუვიდათ ჩვენს ჭაბუკ ფალავნებს ბულგარეთის დედაქალაქში, სადაც ვასილ და გეორგი ილიევების მემორიალი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. კვარცხლბეკზე ასასვლელად მასპინძლებთან ერთად ქართველები, უნგრელები, თურქები, რუმინელები, სლოვაკები და ჩეხებიც იბრძოდნენ. რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ წარმომადგენლობით ტურნირში ჩვენებმა 5 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.**

ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გიორგი გოგბერაშვილი (46 კგ.ძ, გიორგი დავითაია (50ძ, ქემალ ხარაბაძე (54ძ, საჩინო დავითაია (58ძ და სერგო გოგისვანიძე (100ძ, ხოლო მესამე ადგილებზე როინ ძირკვაძე (42ძ, უშანგი ჩიტიაშვილი (69ძ და რევაზ ნადარეიშვილი (85ძ გავიდნენ.

ჭაბუკ მოჭიდავეთა თავკაცმა ვაჟა კრავეიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს პირველობის შემდეგ ნაკრების წევრებმა საწვრთნელი შეკრება გაიარეს, რამაც წარმატებას გარკვეულწილად შეუწყო ხელი.

მომავალ უქმეებზე ფრანკფურტში ახალგაზრდები იჭიდავებენ ამ შემადგენლობით: ზურაბ მაჭარაშვილი (50ძ, გოგა გოგბერაშვილი (55ძ, უჩა შავაძე (60ძ, რამაზ ვაშაყმაძე (66ძ, არსენ კახაბრიშვილი (74ძ, გიორგი ღვინიაშვილი (84ძ, ვასილ იმერლიშვილი (96ძ და რამინ შაქარაშვილი (მძიმე წონაძ.



**სურათზე: გიორგი, დავით და საჩინო დავითაიები.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

◉ ფეხბურთი

## ინტრიგა შეინარჩუნეს

**უეფას თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები ფრედ დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საპასუხო რაუნდში ორივე წყვილი მძაფრ სანახაობას შემოგვთავაზებს.**

განსაკუთრებით იყოჩაღა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა“, რომელმაც სტუმრად ლუკა ტონის გარეშე მოთამაშე ტურნირის მთავარ ფავორიტთან მიუნხენის „ბაიერნთან“გაიყო ქულები – 1:1 (რიბერი; ლუსიო – საკუთარ კარშიძ. რუსეთის მოქმედ ჩემპიონს ერთი კვირის შემდეგ დამატებით პრობლემებს, ალბათ, დისკვალიფიცირებული არშავინის, რიქსენისა და შირლის არყოფნა შეუქმნის, რომლებმაც მეორე ყვითელი ბარათები ბავარიის დედაქალაქში მიიღეს.

რაც შეეხება „რეინჯერს“-„ფიორენტინას“ დუელში დაფიქსირებულ შედეგს – 0:0, იგი საბოლოო წარმატების დიდ შანსს იტალიურ კლუბს უტოვებს.

◉ სამბო

## ევროპის ჩემპიონატს სპორტის სასახლე უმასპინძლებს

**ნაადღგომევს, 28 აპრილს გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში მოჭიდავეთა დიდი ზეიმი დაიწყება და იგი მთელ კვირას გასტანს – საქართველოს დედაქალაქში სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ორგანიზატორებმა თადარიგი დროულად დაიჭირეს და მზად არიან სტუმრების მისაღებად. სულ 25-მდე ქვეყნის წარმომადგენლებს ელიან. ზოგი გუნდი უკვე ჩამოვიდა, დანარჩენი დღეს გვეწვევიან. განახლებული სპორტის სასახლეც მზად არის მოასპარეზეთა სამასპინძლოდ.**

საქართველოს ეროვნული ნაკრები მონდომებით ემზადება ამ შეჯიბრებისთვის მთავარი მწვრთნელის ოლეგ იაძის, მწვრთნელ ემილ რაშისა და სხვათა ხელმძღვანელობით. ხალიჩაზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას უძლიერესი ფალავნები დაიცავენ. ესენი არიან უშანგი კუზანაშვილი (52ძ, ავთანდილ ცინცაძე (57ძ, დავით სვიმონიშვილი (62ძ, ბექა იმერლიშვილი (68ძ, კახა მამულაშვილი (82ძ, მინდია ბოლქველი (90ძ, მირიან პავლიაშვილი (100ძ და ზვიად ჩინჩალაძე (მძიმე წონაძ. ჩვენი ბიჭები უმაღლეს შედეგებს უმიზნებენ და, იმედია, გვასახელებენ კიდეც.

აქვე გაუწყებთ იმასაც, რომ ევროპის ჩემპიონატში ქალებიც იასპარეზებენ. რადგანაც სამბისტი მანდილოსნები არ გვყავს, ამჯერად ძიუდოისტებს – თინათინ ქულოსაშვილს (60ძ, ნინო ოძელაშვილსა (80ძ და ირინე ლეონიძეს (მძიმე წონაძ ვიხილავთ ხალიჩაზე.

ჩვენს ფალავნებს, ალბათ ძომაგობაც არ მოაკლდებათ.

◉ ფიქრები ქართულ სპორტზე

## ჩვენ ვეძებთ ტალანტებს, ისინი უცხოეთში გარბიან

**არც ზამთარში უჩიოდნენ მეცადინეობებზე დასწრებას, მაგრამ ახლა მაინც, როცა დათბა, გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს სპეციალიზებულ კომპლექსურ სკოლაში ახალგაზრდა, კუნთმაგარი ყმაწვილების, მოჭიდავეების შემოტევაა. სკოლის ტატამზე თუ საჭიდაო ხალიჩებზე ვინ ჭიდაობის ანბანს ეუფლება, ვინ ოსტატობას ხვეწს, ვინ კიდევ მომავალი სპორტული პაექრობისთვის ემზადება.**

იმ დილით რომ 67-მა მოჭიდავემ ივარჯიშა, შუადღეზე, უკვე „მეორე ცვლაში“ 72 სპორტსმენი დადგა ტატამზე.

სკოლაში გამოცდილი მწვრთნელი-სპეციალისტების მეთვალყურეობით თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოსა და სამბოს მომავალი ოსტატები იზრდებიან.

– ფილიალები გვაქვს სკრაში, მერეთში, კარალეთში, გორში, – მეუბნება კომპლექსური სკოლის გენერალური დირექტორი, ცნობილი მოჭიდავე და მწვრთნელი ანზორ თენაძე, – ჩვენთან, ფილიალებთან ერთად 300-მდე ახალგაზრდა ვარჯიშობს. ადრე არ მახსოვს ასეთი მოზღვავება ახალზედა მოჭიდავეებისა. საქმე მარტო საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა როდია. საზოგადოებაში გამოსვლა, საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობა, საერთაშორისო ტურნირებზე თავის გამოჩენა. ახლა თუ ევროპისა და მსოფლიო პირველობებზეც ივაჟკაცე, სახელი და დიდება თავად გიპოვის.

ანზორ თენაძეს საუბარში უმაღლესი სასწავლებელი, კერძოდ, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ უხსენებია. ადრე კი ცოტა სხვანაირად იყო. მისაღებ გამოცდებზე პერსპექტიულ სპორტსმენებს მცირე შეღავათებს უწევდნენ. და მართლაც, როცა უმაღლეს სასწავლებელში სპორტსმენი შემოდის, რომელიც რაიმე სახეობაში ქვეყნის ან კონტინენტის პრიზიორია, ჩემპიონებზე ხომ აღარაფერს ვამბობთ, რატომ არ უნდა იმსახურებდეს იგი რექტორატისგან მცირეოდენ ყურადღებას?! ვიდრე სპორტსმენი-აბიტურიენტი საჭიდაო ხალიჩაზე, ფრენბურთის ბადესთან, სატანვარჯიშო იარაღებზე არაქათგამწყვეტამდე ვარჯიშობს ან სტადიონის ბილიკებზე დარბის, არც მისი კონკურენტი აბიტურიენტი ზის გულხელდაკრეფილი, ისიც დარბის... გავლენიან ნათესავებთან, ნაცნობებთან, საგამოცდო კომისიის წევრებთან, და საბოლოოდ, არცთუ იშვიათად, ის იდებს ჯიბეში სტუდენტურ ბილეთს, რომელიც ორ-სამ ტონა ვაშლს მაინც იწონის.

გორის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში სწავლობს გოგონა, რომელმაც ჭადრაკში ჯერ ოსტატობის კანდიდატობის ნორმა შეასრულა, ახლა ოსტატიც გახდა. ჩვენ ვეძებთ ტალანტებსო, ამ ფაცი-ფუცსა და დეკორატიულ შეძახილებს გულწრფელობა აკლია, თორემ ტალანტი აგერ, სკოლაში იზრდება და რა მერე? არაფერი.

არც სპორტის სხვა სახეობებშია უკეთესად საქმე.

ლეგენდარული რექტორი ჰყავდა მაშინდელი გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს – გიორგი ხარაული. სპორტის ბევრ სახეობაში, უპირველესად კი, ჭიდაობაში, საბჭოთა კავშირის ბარე ორი პრესტიჟული უნივერსიტეტიც კი ვერ დაგვიდგებოდა გვერდით. გორელი სტუდენტები დასტა-დასტა მედლებით ბრუნდებოდნენ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებიდან და ჩემპიონატებიდან. რომ აღარ გავაგრძელოთ, მაშინ სულ ახალგაზრდა გურამ პაპიტაშვილი ძიუდოში საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრების მწვრთნელადაც კი დანიშნეს. ამით ყველაფერია ნათქვამი.

სპორტის ძალა მარტოოდენ მასობრიობაში როდია. მას სახელმოხვეჭილი სპორტსმენებიც ქმნიან. ადრე, ვიდრე ცხოვრების საგზურს მიიღებდა, მოქალაქედ და სპორტსმენად სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში ყალიბდებოდა. იქ იფართოებდა ცოდნის თვალსაწიერს, ოსტატდებოდა ფიცარნაგზე თუ ჩოგბურთის ბადესთან. შემდეგ უკვე სპორტული საზოგადოებები, კლუბები, გუნდები, სამწვრთნელო მოღვაწეობა. დღეს სპორტსმენი უმაღლესი სასწავლებლის მიღმა თუ დარჩა, ფეხს ველარსად იკიდებს და უცხოეთისკენ იყურება.

უცხოობაში რაა სიამე?! კი, ბატონო, მაგრამ ცოლ-შვილს, ოჯახს რჩენა და პატრონობა ხომ უნდა. ჰოდა, დაავლებს ხელს სპორტულ ჩანთებს და ლუკმაპურის საშოვნელად ვინ საბერძნეთს, ვინ რუსეთს, უკრაინას, ყაზახეთს შეეხიზნება. რობერტ მშვიდობაძე, აკაკი ხანიშვილი, ნიკო ბიბილაშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი, მამუკა სახვაძე, მანუჩარ მურადაშვილი ნებისმიერი ქვეყნის ნაკრებს დაამშვენებდნენ. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ ა.ხანიშვილი მსოფლიო ჩემპიონია სამბოში, ნ.ბიბილაშვილი მსოფლიო ჩემპიონია ახალგაზრდებს შორის, ძიუდოში კი საქართველოს ჩემპიონია, გ.ვაზაგაშვილი კი სულაც ოლიმპიური თამაშების პრიზიორია!

არც იმათი ბედია სახარბიელო, ვინც უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. იმის გამო, რომ სწავლის ქირა ვერ გადაიხადეს, თავი დაანებეს უნივერსიტეტს მესამეკურსელმა მოკრივე ბექა ლობჟანიძემ, მეორეკურსელმა მოჭიდავეებმა სანდრო მსხალაძემ, დავით კარბელაშვილმა და სხვებმა.

ნათქვამი მუქ ტონებში გამომივიდა. სიმართლეს ვწერ და იქნებ ამიტომაც, თუმცა სიმართლეა ისიც, რომ „ტალანტების გადინებას“ შიდა ქართლის მხარის სპორტის მესვეურები ტრაგედიად არ აღიქვამენ. ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან. მათ ისეთი მწვრთნელი-პედაგოგები ხვდებიან, სხვაგან რომ სანთლით საძებარია: გივი ზაუტაშვილი, ანზორ თენაძე, ქართლოს და დავით პავლიაშვილები, ნიკო ბიბილაშვილი, იოსებ ფუხაშვილი და, რა თქმა უნდა, დიდი გურამ პაპიტაშვილი, როგორც მას სიყვარულით ჭიდაობაში „ყველა დროისა და ხალხის მთავარ მწვრთნელს“ უწოდებენ.

შექმნილია მწვრთნელთა საბჭო, რომელიც სწავლობს და თვალყურს ადევნებს ჭიდაობაში სასწავლო-საწვრთნელი პროცესების მიმდინარეობას. მას ქმედით დახმარებას უწევს ცნობილი მოჭიდავე და ბიზნესმენი, შიდა ქართლის მხარის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი ბორის გოგიჩაშვილი.

ამას წინათ დამთავრდა საქართველოს პრეზიდენტის თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში – ქვეყნის გუნდური პირველობა მხარეებს შორის. შიდა ქართლის ნაკრები, რომელიც გორელი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, პირველ ადგილზე გავიდა და საპატიო თასს დაეუფლა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გოჩა ვარძელაშვილი (55 კგძ, ირაკლი ლომიძე (60 კგძ, უშანგ კოკაური (+90 კგძ, საპრიზო ადგილები დაიკავეს ლაშა შავდათუაშვილმა, ვანო გოგიაშვილმა და ლაშა გიუნაშვილმა.

1-2 მაისს კი საქართველოს პრეზიდენტის თასის გათამაშებას მხარეებს შორის ქუთაისი უმასპინძლებს.

საქართველოს ნაკრები ძიუდოში კონტინენტის პირველობაზეც გაემგზავრება, რომელიც მაისის დასაწყისში ჩეხეთში გაიმართება. ქვეყნის სპორტულ ღირსებას გორელი სპორტსმენებიც დაიცავენ – დავით კარბელაშვილი, გურამ მჭედლიძე, ნოდარ კუდუხაშვილი, პაატა მერებაშვილი, ზვიად კაპანაძე, გიორგი ტაბატაძე. ახალ ამპლუაში ექნება დებიუტი ანზორ თენაძეს, რომელიც, როგორც ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი, გუნდს ჩეხეთში მიჰყვება.

ჩვენ ვეძებთ ტალანტებს, ვპოულობთ, ვზრდით, ვაფრთიანებთ. ისინი კი უცხოეთში მიფრინავენ. ასე აღარ შეიძლება, აცხადებენ შიდა ქართლის მხარის სპორტის მამები. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ადგილებზე მათს დასამაგრებლად. უნდა გვახსოვდეს, რომ პერსპექტიული სპორტსმენების შრომითი, სასწავლო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის გაწეული ხარჯები ერთიორად ანაზღაურდება. ქვეყანაც მოიგებს, სპორტიც და საზოგადოებაც.

**გურამ ვაშაკიძე**

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.

# ყურადსაღები

● შეგახსენებთ: ნუ გადადებთ ექიმთან მისვლას იმის შიშით, რომ დაგისვამენ საშინელ დიაგნოზს. ადრეულ სტადიაში კიბოც ხომ ინკურნება. გახსოვდეთ ეს!



# ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელთ არის

## გვირჩევენ, გავითვალისწინოთ

### ◎ როგორ მოვუაროთ თავს?

### ვისაც მოწევისთვის თავის დანებება უნდა



**ერთი ჭიქა შვრია 2 ლიტრ წყალში ვადუღოთ 1 საათი.** ხარშვის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე დავუმატოთ 2 სუფრის კოვზი მშრალი კალენდულა. გავწუროთ. ნახარშს დასალევად აძლევენ თამბაქოს მოწევისა და ალკოჰოლისადმი მიდრეკილების მოსახსნელად.

### სალათი ტანკენარობისთვის

**ავიღოთ ერთი სუფრის კოვზი უცხიმო ხაჭო და ამდენივე მაწონი.** მიღებული ნარევი აურიეთ ხილისა და ბოსტნეულის სალათში და მიიღეთ ვახშმად. თუ დაკმაყოფილდებით ასეთი მსუბუქი ვახშმით დიდი ხნის განმავლობაში, ზედმეტი წონის დაგდების პროცესი ძალიან აქტიურდება.

### სამკურნალო ფაფა

**ერთი სუფრის კოვზ ჰერკულესს დავასხათ ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, დავუმატოთ 2 სუფრის კოვზი დაფქვილი ხორბალი, 1 სუფრის კოვზი მშრალი მოცვი, თითო სუფრის კოვზი გოგრის თესლი და კაკალი (ან თხილი) და თუ გექნებათ, 1 ჩაის კოვზი დაფქვილი ოროვანდი (ლოპუხი).** ნარევი გაფუვდება და გადაიქცევა სამკურნალო ფაფად. იგი განსაკუთრებით სასარგებლოა საჭმლის მომნელებელი ორგანოების — კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ.

### ოსტეოხონდროზი – ვხსნით ტკივილებს

**მდოგვის თესლი დავფქვათ ყავის საფქვავით. ავიღოთ 2 სუფრის კოვზი თესლის ფხვნილი, დავუმატოთ 1 სუფრის კოვზი თაფლი და 5 წვეთი ქაფურის ზეთი (იყიდება აფთიაქებში).** ამ კომპონენტებისაგან გავაკეთოთ ლავაში, დავიდოთ მტკივან ადგილზე, დავაფაროთ ცელოფანის ნაჭერი, შემდეგ ზევიდან პირსახოცი და თბილი რამე. ლავაში გავაკეთოთ ყოველდღე ორი კვირის განმავლობაში.

### ყურადღება, თავის ტკივილია!



**თავის ტკივილის მოთმენა ძალიან ძნელია. პირველივე სიმპტომის დროს უნდა მივიღოთ წამალი.** თუ ტკივილი წარმოიქმნა სტრესის ფონზე, დალიეთ გამაყუჩებელი და დამამშვიდებელი წამალი. დაიხსომეთ: ყველაზე უსაფრთხო წამალი გაიცემა ურეცეპტოდ, ნებადართულია ადრეული ასაკის ბავშვებისათვის და დამზადებულია იბუპროფენის საფუძველზე. კარგად გვშველის ყელზე მდოგვის საფენის შემოდება და თბილი რძე თაფლით.

და აუცილებლად დაუთმეთ დრო ფიზიკურ დატვირთვას, ყოველდღიურ გასეირნებებს სუფთა ჰაერზე და ძილს — ეს თავის ტკივილის საუკეთესო პროფილაქტიკაა.

### ექიმთან მისვლას ნუ გადადებთ

**რუსმა მეცნიერებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს ისეთი ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში, როგორიცაა სისხლის, სარძევე ჯირკვლებისა და საკვერცხეების კიბო, თირკმლების ავთვისებიანი სიმსივნეები.** ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საშიშია გულის სისხლძარღვთა თრომბისა და დახშობის გამო. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი ექიმები მოწოდების სიმაღლეზე არიან. ისინი აკეთებენ უნიკალურ ოპერაციებს მომუშავე გულზე. ასეთი ოპერაციების სირთულეების გამო უცხოელი ქირურგები მასზე უარს აცხადებენ. რუსეთში, უმეტეს შემთხვევაში, ეს ოპერაციები წარმატებით ტარდება. ავადმყოფები სიარულს იწყებენ უკვე ორი კვირის შემდეგ.

დაბოლოს, შეგახსენებთ: ნუ გადადებთ ექიმთან მისვლას იმის შიშით, რომ დაგისვამენ საშინელ დიაგნოზს. ადრეულ სტადიაში კიბოც ხომ ინკურნება. გახსოვდეთ ეს!

### ეს საინტერესოა

**18 ქვეყნის 40-59 წლის ავადმყოფებზე ხანგრძლივმა დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში გულის იშემიურმა დაავადებებმა ყოველ 1000 კაცზე შეადგინა:** ფინეთში 120 (მოსახლეობის 12 პროცენტი), ამერიკის შეერთებულ შტატებში — 80 (8 პროცენტი), კვიპროსზე და იაპონიაში — დაახლოებით 20 (2 პროცენტი), რუსეთში — 17 პროცენტი.

### შველის ბავშვების ასთმას



**დანიელმა მეცნიერებმა კვლევის დროს დაადგინეს, რომ რძესა და კარაქს შეუძლია თავიდან აარიდოს ბავშვებს ასთმის განვითარება.** მეცნიერებმა გამოიკვლიეს ორი წლის 3000 ბავშვის კვების სხვადასხვა ხერხი. შედეგად დადგინდა, რომ ცხიმიანი კარაქის, აგრეთვე შავი პურის ყოველდღიური მიღება ხელს უწყობს ასთმით დაავადების დონის შემცირებას. ამ ფაქტს ზოგიერთი მეცნიერი ხსნის რძის პროდუქტებში ცხიმის მჟავების, ანტიოქსიდენტების, აგრეთვე სხვა სასარგებლო მიკროელემენტების მაღალი დონით.

### ვარჯიში ჰიპერტონიკებისთვის

**მინდა დავიწყო სპორტული ვარჯიშები, მაგრამ ცოტა აწეული მაქვს არტერიული წნევა. როგორი ფიზიკური ვარჯიშები გამომადგება?**

**უპასუხებს ექიმი ფიზიოთერაპევტი:**

— უნდა ირბინოთ, ივარჯიშოთ ველოტრენაჟორზე, იცურაოთ. მაგრამ, თუ გადაწყვეტთ იაროთ აუზში, გახსოვდეთ: სანამ შეხვალთ წყალში, უნდა მიიღოთ ცივი შხაპი, ან შეხვიდეთ წყალში ძალიან ფრთხილად. სიცივე ავიწროებს სისხლძარღვებს, აიძულებს გულს იმუშაოს მეტი დატვირთვით. თუ იგი ორგანიზმზე მოახდენს მოულოდნელ „თავდასხმას“, მაშინ გარკვეულ ვითარებაში მას შეუძლია გამოიწვიოს ტკივილები გულში. აი, სიმძიმეების აწევა კი გულით ავადმყოფებისათვის უკუნაჩვენებელია — ასეთ ვარჯიშებს შეუძლიათ გამოიწვიონ წნევის აწევა. ვარჯიშების დაწყების წინ უნდა მოეთათბიროთ ექიმს.

### ჰოლივუდური ღიმილი ნებისმიერ ასაკში



**მაქვს უთანაბრო კბილები, თუ შეიძლება ამ ნაკლის გამოსწორება მოწიფებულ ასაკში?**

**უპასუხებს ექიმი სტომატოლოგი:**

— თეორიულად უთანაბრო კბილების და არასწორი თანკბილვა შეიძლება გასწორდეს ნებისმიერ ასაკში, თუმცა აქ ყველაფერი დამოკიდებულია ძვლოვილების მდგომარეობაზე, კბილებს რომ აკრიათ. რაც უკეთაა შენარჩუნებული ეს ძვლოვილები, მით უფრო მეტი წარმატების შანსია.

კბილებს მართავენ მოსახსნელი ფირფიტებით და არამოსახსნელი ჩანგლებით (ეგრეთ წოდებული ბრეკეტებით), მაგრამ იმათ, ვინც უკვე გაიარა სიყმაწვილე, მკურნალობის პირველი ხერხი არ გამოადგებათ. ამიტომ მოზრდილ პაციენტებს მოუწევთ წელიწადნახევარი — ორი წელიწადი მუდმივად ატარონ კბილებზე რკინის ჩანგლები. თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიები სასწაულებს ახდენენ. ულამაზო ჩანგლები — უამრავი კომპლექსის მიზეზი — უკვე შეიძლება მარტივად შეიცვალოს თითქმის შეუმჩნეველი ფოსფორის ნადებით, ბრეკეტების ზოგიერთი სახეობა მაგრდება კბილების გარეთა მხრიდან და სრულიად შეუმჩნეველია გარეშე პირებისათვის.

### კარაქი თუ მარგარინი?

**დიდი ხანია, მინდა გავხდე, ამიტომ ვცდილობ მივიღო რაც შეიძლება ნაკლები ცხოველური ცხიმები. ამ ცოტა ხნის წინათ ავკრძალე კარაქი მარგარინის სანაცვლოდ. სწორად მოვიქეცი?**

**უპასუხებს ექიმი-დიეტოლოგი:**



— ორივე პროდუქტში თითქმის ერთი ოდენობითაა კალორიები, მაგრამ კარაქში უფრო მეტია გაჯერებული ცხიმები, რომლებსაც გადაჭარბებული მოხმარების დროს შეუძლიათ გამოიწვიონ გულისა და სისხლძარღვთა პრობლემები.

მაგრამ არც მარგარინი შეიძლება მივიჩნიოთ კარაქის ჯანსაღ ალტერნატივად. საქმე ისაა, რომ მის შემადგენლობაში საკმაოდ ბლომადაა, ეგრეთ წოდებული, ტრანსცხიმები, რომლებიც მიიღება ისეთი თხევადი ცხიმების მაგრებად გადამუშავების დროს, როგორიცაა მცენარეული ზეთი. ტრანსცხიმები იმ თვისების გარდა, რომ გაზარდონ სისხლში მავნე ქოლესტერინის დონე, უარყოფით გავლენას ახდენენ ღვიძლზე. სწორედ ამიტომ დიეტოლოგები გვირჩევენ უპირატესობა მივანიჭოთ მცენარეულ ზეთებს. თუ არაფრით არ შეგიძლიათ უარი თქვათ კარაქიან ან მარგარინიან ბუტერბროდზე, მაინც უმჯობესია არჩევანი გააკეთოთ კარაქზე.

### ვამაგრებთ ფრჩხილებს

**ზამთრის შემდეგ ყოველთვის მემტვრევა ფრჩხილები. როგორ გავიმაგრო ისინი?**

**უპასუხებს ექიმი-კოსმეტოლოგი:**

— ფრჩხილების მოვლა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავიწყოთ „შიგნიდან“. შეეცადეთ რაციონში ჩართოთ ვიტამინების: „ა“ (მას შეიცავს სტაფილო, შპინატი), „ე“ (მდიდარია მცენარეული ზეთები და კაკალი) და კალციუმის (იგი ბევრია რძის პროდუქტებში, განსაკუთრებით ხაჭოში) შემცველი პროდუქტები ან მიიღეთ შესაბამისი ვიტამინური კომპლექსები.

ფრჩხილები რომ უფრო მყარი იყოს, იყიდეთ ლაქი და ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც შეიცავენ კერამიდებს და რომლებიც ფრჩხილებს აძლევენ ჯანსაღ იერს, ამაგრებენ, აბრეშუმის პროტეინი — იგი იცავს ფრჩხილებს მავნე გარეფაქტორებისგან, ბიოტინი — „სამშენებლო მასალა“ ფრჩხილებისა და თმისთვის.

### იზრუნეთ ვენებისთვის



**დედაჩემს ვენების ვარიკოზული გაგანიერება აქვს. როგორია იმის ალბათობა, რომ მეც იგივე დაავადება მექნება?**

**უპასუხებს ექიმი-ფლებოლოგი:**

— დაახლოებით ყოველ მეხუთე ადამიანს აწუხებს ვენების ვარიკოზული გაგანიერება. დაავადება ვითარდება, როდესაც ფეხის ვენებში ირღვევა ვენის სარქველების ფუნქციონირება, რაც სისხლს არ აძლევს საშუალებას თავისუფლად იმოძრაოს გულისკენ. ამის ნაცვლად მიწის მიზიდულობის ზემოქმედებით სისხლი მიდის ქვევით, რითაც ქმნის ვენებში ჭარბ წნევას და იწვევს მათ გაგანიერებას და ტკივილს.

ვარიკოზული გაგანიერებისადმი მიდრეკილება შეიძლება იყოს მემკვიდრეობითი, ამიტომ, თუ დედათქვენს აწუხებს ეს დაავადება, თქვენ უნდა მიიღოთ უსაფრთხოების ზომები. განსაკუთრებით ყურადღებიანი უნდა იყოთ თქვენი ვენებისადმი ორგანიზმის ჰორმონალური გარდაქმნის — ფეხმძიმობის, კლიმაქსის პერიოდში. უნდა ერიდოთ აგრეთვე დიდი ხნით ფეხზე დგომას. რაც უფრო დიდხანს ხართ ფეხზე, მით მეტი წნევის გადატანა უხდებათ სარქველებს და უფრო სუსტდებიან ისინი.

ვარიკოზის გამოვლენა შეიძლება თავიდან აიცილოთ, თუ გაზრდით ფიზიკურ აქტიურობას. ჯობია ისეირნოთ, ვიდრე იდგეთ და იჯდეთ.

უცხოური პრესის მიხედვით

№ 78. შაბათი, 26 აპრილი, 2008 წელი.

# სხვადასხვა

● საქართველოს სასამართლო სისტემა მთლიანად მოიშალა. გარდა იმისა, რომ მათ გადაწყვეტილებებს ასაჩივრებენ ზემდგომ ინსტანციებში, სტრასბურგში და ა. შ., მოსამართლეები მაინც განაგრძობენ აბსურდული გადაწყვეტილებების მიღებას.



◉ თემიდა

# ქართული სასამართლოების სრული ამნეზია

**საქართველოს სასამართლო სისტემა მთლიანად მოიშალა. გარდა იმისა, რომ მათ გადაწყვეტილებებს ასაჩივრებენ ზემდგომ ინსტანციებში, სტრასბურგში და ა. შ., მოსამართლეები მაინც განაგრძობენ აბსურდული გადაწყვეტილებების მიღებას.**

### მოსამართლემ მიცვალებულს თანხის გადახდა დააკისრა

**გურჯაანელმა გია ტაბატაძემ მცირე ბიზნესის წამოსაწყებად ნაცნობისგან — კამილ მანაშიროვისგან უპროცენტო ვალი აიღო. ტაბატაძის მხარის განმარტებით, მან მოვალეს ვალი ერთ თვეში დაუბრუნა. ამის შემდეგ გადის ერთი თვე და ტაბატაძეს საგარეჯოს ტყეში ხეზე ჩამოხრჩვალს პოულობენ. გარდაცვლილის ახლობლების ვერსიით იგი ჯერ მოკლეს და შემდეგ, თვითმკვლელობის იმიტაციის მიზნით ჩამოკიდეს.**

გარდაცვალებიდან ერთ თვეში მანაშიროვს გურჯაანის სასამართლოში შეაქვს განცხადება, რომ ტაბატაძე გასესხებულს არ უბრუნებს. საქმის განხილვა მოსამართლე ლია ოთარაშვილს დაევალა.

მან საქმის რამდენიმეთვიანი „შესწავლის" შემდეგ, ისე, რომ ტაბატაძის საცხოვრებელ მისამართზე უწყება ერთხელაც არ გამოუგზავნია და ცხადია არც გარდაცვლილს შეხვედრია, ერთდროულად მიიღო ბრძანება და განჩინება, რომელთა მიხედვითაც ტაბატაძეს დაევალა თანხის გადახდა, მისი სახლი დააყადაღეს.

მიუხედავად იმისა, რომ სესხის ხელშეკრულებაში მსესხებელს არ ევალება მანაშიროვისთვის პროცენტის გადახდა, ოთარაშვილის სამართლით გარდაცვლილმა პროცენტის სახით 1686 ლარი მაინც უნდა გადაიხადოს.

ზოგიერთი მოსამართლის უვიცობას ემატება გართულებული კანონმდებლობაც, რაც აუცილებლად გადასახედია. — მიიჩნევენ იურისტები. მათი მტკიცებით, მოსამართლე ზერელედ რომ არ მისდგომოდა საქმეს, გაეგზავნა უწყება, რამდენიმე გზის გამოეძახებინა ტაბატაძე სასამართლოში, მაშინ ოჯახს საშუალება მიეცემოდა დროულად წარედგინა გარდაცვალების ცნობა. თვითონ ოთარაშვილი კი კომიკურ მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდებოდა — ასკვნიან იურისტები.

### „მიცვალებული" გაცოცხლდა, „მკვლელი" კი ციხეშია

**2007 წლის ივნისში, სოფელ ფშაველში, ნათან ზათიაშვილის მეცხოველეობის ფერმაში, იქ სტუმრად მყოფ ლაშა ჩოფიკაშვილსა და ალექსი ბახუტოვს შორის შელაპარაკება მოხდა, რაც ფიზიკური კონფლიქტით დასრულდა. საქმის გარჩევა მდინარე სტორის სანაპიროზე მოხდა. მას შემდეგ, რაც დაპირისპირებულები ერთმანეთს დაშორდნენ, ლაშა ჩოფიკაშვილი არავის უნახავს. დროთა განმავლობაში გავრცელდა ხმა, რომ ჩოფიკაშვილი ჩხუბის დროს ბახუტოვს შემოაკვდა და გვამი გადამალა.**

ნაფარეულის პოლიციამ ბახუტოვი, როგორც ეჭვმიტანილი, დააკავა. ბრალდებულისა და მისი ახლობლების განცხადებით, დაკავებულზე ხდებოდა არაადამიანური ზემოქმედება. მას დღეში რამდენიმეჯერ სცემდნენ და აიძულებდნენ ელიარებინა მოკლულის დამარხვის ადგილი. ბახუტოვი თავდაპირველად უარყოფდა მკვლელობას. მალე წამებას ვეღარ გაუძლო და დაიწყო იმ ადგილების დასახელება, სადაც მან დამარხა გვამი. მის მიერ დასახელებული ადგილების დათვალიერებისა და გვამის ვერაღმოჩენის შემდეგ დაკავებულის წამება კვლავ გრძელდებოდა. ბოლოს სამართალდამცავები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბახუტოვმა მოკლული მდინარე სტორში გადააგდო და ის წყალმა წაიღო.

თუმცა, არც ამის შემდეგ დამთავრებულა ბახუტოვის წამება. ბრალდებულის განცხადებით, ამჯერად მისგან თანამზრახველების, ხელისშემწყობების ვინაობის დასახელებას მოითხოვდნენ. როდესაც სასურველი პასუხი ვერ მიიღეს თანამონაწილეებად თავისი მეგობრების ალექსი ცოციაშვილის, ვეფხია ხაჩოშვილისა და ასლან გაუარაშვილის დასახელება მოსთხოვეს. ბახუტოვმა ვერც აქ გაუძლო ცემატყეპას და პოლიციის შეთავაზებული პირები თანამონაწილეებად დაასახელა. მომხდარიდან რეკორდულ დროში, 2007 წლის 24 აგვისტოს, თელავის რაიონულმა სასამართლომ ბახუტოვს, ჩოფიკაშვილის განზრახ მკვლელობისთვის, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მაგრამ ოქტომბრის ბოლოს, მიცვალებულად გამოცხადებული ლაშა ჩოფიკაშვილი სოფელში გამოჩნდა. გაირკვა მისი დროებითი გაუჩინარების მიზეზიც — იგი ჩხუბიდან მეორე დღესვე ნაწინდარას საძოვრებზე წავიდა, სადაც ადგილობრივ ვინმე იზნაურთან მწყემსად მუშაობდა.

სიტუაციის მოულოდნელი შემობრუნებით დაბნეულმა თელავის პოლიციამ ჩოფიკაშვილს სოფელში მიაკითხა. იგი პროკურატურაში წაიყვანეს, სადაც მან განაცხადა, რომ სოფელი არავის შიშითა და ზემოქმედებით არ მიუტოვებია. იგი საძოვრებზე სამუშაოდ იყო წასული. პროკურატურიდან „გაცოცხლებული გარდაცვლილი" საავადმყოფოში წაიყვანეს და ანალიზის მეშვეობით სისხლის იდენტიფიცირება მოახდინეს. მათ წინაშე მყოფი პიროვნება სასამართლოს მიერ მოკლულად გამოცხადებული ლაშა ჩოფიკაშვილი აღმოჩნდა.

სამართალდამცავები საგონებელში ჩავარდნენ. გამოსავალი უცებ იპოვეს. დაკავებულის მხარის განმარტებით დაიწყო ზემოქმედება ჩოფიკაშვილზე. მისგან მოითხოვდნენ ჩვენებას იმის თაობაზე, რომ იგი ბახუტოვმა კონფლიქტის დღეს სასტიკად სცემა. ამით გამოძიებამ გადაწყვიტა განზრახ მკვლელობის მუხლის გადაკვალიფიცირება.

რაც შეეხება ბახუტოვის დაკითხვების დროს წამების რეალურობას, ამას ამტკიცებს ყვარლის პოლიციის დროებით იზოლატორში არსებული ეჭვმიტანილ პირთა ჟურნალი, მასში 2007 წლის 27 ივნისს, 23 სთ-ზე მიყვანილი ბახუტოვის შესახებ არსებობს ჩანაწერი, რომ აღენიშნებოდა მარცხენა თვალის ქუთუთოს დასიება და ჩაშავება, ნაკაწრები ცხვირსა და მარცხენა მხარზე. ორი დღის შემდეგ თბილისის №5 საპყრობილის ჟურნალში არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საპყრობილეში შეყვანის დროს მას აღენიშნებოდა მუქი შინდისფერი სისხლნაღვენთები მარცხენა თვალის ბუდეში, მარცხენა ბეჭისა და მარჯვენა თეძოს მიდამოებში.

### „ეჭვია, რომ ვინმე დაისაჯოს"

**ვასილ აროზელიძე (იურისტი, სამართალმცოდნე): „დასახელებული ფაქტი, სამართალდამცავების მხრიდან არნახული ცინიზმისა და თავგასულობის მაგალითია, ნორმალურ ქვეყანაში დაისჯებოდა ყველა ოპერატიული თანამშრომელი, პროკურორი და მოსამართლეც, რომელთაც ამ საქმეთან ჰქონდათ შეხება.** ვთქვათ და მოახდინეს დანაშაულის გადაკვალიფიცირება, რას უშვებიან ბრალდებულს, თანამზრახველების აღიარებას, მკვლელობის ადგილის მითითების ჩვენებებს. აქ ხომ აშკარად იკითხება, რომ ყველა ჩვენება უხეში ზემოქმედების შედეგადაა მიღებული (ასე იოლად კაცის მკვლელობას ხომ არავინ დაიბრალებდა). მიუხედავად არსებული უმძიმესი დანაშაულისა (სამართალდამცავების მხრიდან), არა მგონია, ვინმე დაისაჯოს. როდესაც გამოძიება, პროკურატურა და სასამართლო ცოცხალს მიცვალებულად აღიარებენ, უდანაშაულოს მკვლელობას აღიარებინებენ, ცხადია, რომ მათ არც დანაშაულის მუხლის შეცვლა გაუჭირდეთ. ამ ქვეყანაში პასუხის მომთხოვნი ხომ არავინაა".

მომხდარის შესახებ ბახუტოვის ახლობლებმა ომბუდსმენის აპარატს მიმართეს და მისი დახმარების დიდი იმედი აქვთ.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ წიგნი

# ნარკომანია ბოროტებაა, მისკენ მიდრეკვა — ცოდვა

### სკოლაში მწერალს შეხვდნენ და მისი რომანი განიხილეს

**საკუთარი თავის შეცნობას ყველაზე უკეთ ცხოვრება და წიგნი გვასწავლის.**

როგორი ცხოვრება გვაქვს? როგორსაც ვიმსახურებთ. ახალგაზრდა გორელი მწერლის მარინე ჯალიაშვილის მძაფრსიუჟეტიანი რომანი „ბოროტების აღსასრული" ჩვენს დღევანდელობას ეხება, უიმედობითა და უილაჯობით გაჯერებული ცხოვრების იმ შრეებში შეღწევას ცდილობს, სადაც დალექილა ცხოვრებისგან მიტოვებული ახალგაზრდა კაცის ირეალური წარმოდგენები ბედნიერებაზე, სიყვარულზე, ყოფიერების არსზე. რომანში რეალური კი ისაა, რომ, როგორც იტყვიან, ნარკოტიკებს მიჰყავს პარადი, მუსიკასაც ისინი უკვეთავენ და თუ იგი ხშირად სამგლოვიაროდ აჟღერდება, არავის ენანება მსხვერპლი — ვიღაც გამდიდრდა, ვიღაცის ჯიბეებში ათასები ჩაჩხრიალდა.

ერთხელ რუსეთში მე გავიგონე, როგორ უკრავდნენ ქარხანაში მოცარტს, წერდა ეკზიუპერი. გასაკვირი აქ არაფერია. მით უმეტეს ის, თუ რატომ მოინდომეს გორელმა მოსწავლე ახალგაზრდებმა შეხვედროდნენ მწერალს და მასთან ერთად ემსჯელათ „ბოროტების აღსასრულის" გმირებზე.

შეხვედრა მარინე ჯალიაშვილთან




ქალაქის მესამე საჯარო სკოლაში გაიმართა, რომანის განხილვაში მონაწილეობდნენ გორის მწერალთა სახლის დირექტორი ჯემალ ინჯია, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნინო მაყაშვილი, სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეები...

როგორია გზა, რომელზეც უნდა იარონ და საქმეები, რომელიც უნდა აკეთონ? აი, კითხვები, მარტო ახალგაზრდებს კი არა, ჩვენც რომ გვაღელვებს. ნარკომანია სახადი როდია, მოვიდეს, დაერიოს ხალხს და მერე სადღაც გადაიხვეწოს. იგი ავადმყოფობაა და მკურნალობას, მუდმივად თვალის მიდევნებას და პროფილაქტიკას საჭიროებს. წიგნის განხილვისას პრინციპული კამათი გაიმართა რომანის მოქმედ პირთა ცხოვრებისეულ მისწრაფებებზე, მათს შინაგან სამყაროზე, გამოიკვეთა ცალკეული გმირების ფსიქოლოგიური პორტრეტი.

მეცნიერები თავგამოდებით ებრძვიან ნარკომანიას, კაცთა მოდგმის ამ დაუძინებელ მტერს და ამ ბრძოლაში წარმატებასაც აღწევენ. ეს არ არის ბანალური ჰეპი ენდი, რითაც წიგნი მთავრდება. იგი ავტორის რწმენაა (და ეს რწმენა რომანის განხილვის მონაწილეებმაც გაიზიარეს), რომ ჩვენს ქვეყანას ღირსეული ცვლა ეზრდება — ჯანსაღი, წიგნიერი, განათლებული.

მარინე ჯალიაშვილის რომანს გამოსვლისთანავე უცნაური ბედი დაჰყვა თან. ჯერ იყო და ამერიკაში, ნიუჯერსის ქართულ დიასპორაში ჩააღწია და იქაური ქართველების მოწონება დაიმსახურა. მოწერეს კიდეც ავტორს — რომანის ირგვლივ აქ ისეთი დაინტერესებაა, ეგებ ინგლისურად ათარგმნინოთ, მთელი ქალაქი სიამოვნებით წაიკითხავდაო. მთარგმნელიც გამოჩნდა — ახალგაზრდა გორელი ფილოლოგი, ინგლისური ენის სპეციალისტი ნინო სულიაშვილი. რამდენიმე თვეში თარგმანი მზად იყო და რომანი მეორედ დაისტამბა, ამჯერად ინგლისურ თარგმანთან ერთად...

ამ დღეებში კვლავ მოვიდა წერილი ნიუჯერსიდან. მარინე ჯალიაშვილს წერენ — თქვენი რომანის სულისკვეთება და ჰუმანურობა ჩვენთვისაც იმდენად მნიშვნელოვანია, ხომ არ ვიფიქროთ ნიუჯერსში მისი დიდი ტირაჟით გამოცემაზეო...

საინტერესო პერსპექტივაა.

**გურამ ვაშაკიძე,**
**ჩვენი საკ. კორ.**
**გორი-თბილისი**

◉ გახსენება

# კაცი — მოფერება, ჩვენი ოთარი



**დღეს ოთხმოცი შეუსრულდებოდა მოფერებისათვის დაბადებულ კაცს — ოთარ ხატიაშვილს. დიახ, მხოლოდ მოფერებისათვის — ქვეყნის, ოჯახის, მეგობრის, სილამაზის... იქნებ, სწორედ ასეთი კაცთმოყვარე, თბილი და გულღია ადამიანი სჭირდებოდა იმჟამინდელ რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს გიორგი გეგეშიძეს სახელმწიფო უშიშროების სათავეში, იქნებ, ამაზე ფიქრობდა, როცა გაგზავნა ოთარი ამ სისტემაში სამუშაოდ. წლების შემდეგ კი ოთარ ხატიაშვილის უმწიკვლობამ, ყოველგვარი ინტრიგებისა და ხრიკებისაგან ძალიან შორს დგომამ გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ის დამოუკიდებელი საქართველოს უშიშროების ორგანოების პირველი ხელმძღვანელი გახდა.**

**ჩეკისტი და საზოგადოების სიყვარული... ეს ხომ ზღაპარიაო, იტყვიან, მაგრამ ოთარ ხატიაშვილი ზუსტად ასეთ შემთხვევას, უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა. ვინ მოთვლის, იმ მკაცრ დროში რამდენი ადამიანი დაუცავს ცრუ ბრალდებებისაგან, რამდენ კაცსა თუ ქალს დაეხმარა საზღვარგარეთ წასვლაში და ემიგრანტი ახლობლების მოძიებაში, რამდენს უშველა მისმა დროულმა რჩევამ.**

**იგი ზედმეტად განსხვავებული იყო კოლეგებისაგან, სხვანაირად ფიქრობდა, სხვანაირად სუნთქავდა, სხვანაირად ცხოვრობდა. მისი საქციელი არ ეწერებოდა სისტემის აღიარებულ ნორმებში. მომავლის კაცი იყო.**

**ყოველივე ეს ასეა. ჩვენ კი, ოთარის მეგობრებს დღეს საოცრად გვაკლია მისი მოფერება, ულამაზესი ღიმილი, კახური პირდაპირობა (აბსოლუტურად არასაწყენი), ის გამორჩეული ატმოსფერო, რომელიც მის ირგვლივ იქმნებოდა. ძნელია, ჩვენო ოთარ, ცხოვრება უშენოდ.**

მეგობრები

**შპს „ბონდის" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ვლადიმერ სირაძეს დედის**
**ციალა ჭანტურია-სირაძის**
**გარდაცვალების გამო.**

№ 78. შაბათი, 26 ივლისი, 2008 წელი.

# ბოლო გვერდი

„მკვდარმა აღდგომა როგორ შეძლო?! ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ თეთრი კვერცხის გაწითლება!“ – წამოიძახა ტიბერიუსმა, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა – ჯერ ვარდისფერი გახდა, შემდეგ გაწითლდა.



სულიერება

## გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!

**27 აპრილს საქართველოს სამოციქულო ეკლესია, თითოეული მართლმადიდებელი ქართველი დღესასწაულობს იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.**



...დიდ შაბათს ღამეს, ნაშუაღამევს, ქრისტეს საფლავის მცველებმა მოულოდნელად იგრძნეს მიწისძვრა და იმწამსვე დაინახეს ანგელოზი ელვარე სამოსელით, რომელმაც საფლავის კარებიდან ლოდი გადააგორა და იქვე ჩამოჯდა. ქრისტე აღსდგა!

...აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე, დარჩა ქვეყანაზე და ზევრჯერ გამოეცხადა მოწაფეებს, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ აღსდგა მათი მოძღვარი იესო ქრისტე...

ახლა ცოტა რამ სააღდგომო კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიციის შესახებ. ეს ჩვეულება ძალიან ძველია... ამაღლებამდე მაცხოვარმა მოწაფეები, რომელთა შორის მარიამ მაგდალინელიც იყო, სხვადასხვა ქვეყანაში დაგზავნა, საქადაგებლად. მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორ ტიბერიუსის სასახლისკენ გაემართა. ქალი, როგორც წარჩინებული გვარის ჩამომავალი და ცნობილი პიროვნება, იმპერატორთან დაუბრკოლებლად შეუშვეს. მან რომის მბრძანებელს კვერცხი მიართვა ძღვნად და მაცხოვრის აღდგომა ახარა. „მკვდარმა აღდგომა როგორ შეძლო?! ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ თეთრი კვერცხის გაწითლება!“ – წამოიძახა ტიბერიუსმა, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა – ჯერ ვარდისფერი გახდა, შემდეგ გაწითლდა.

ეს წითელი ფერი ჩვენი სულიერი სიხარულის, ზეიმის გამოხატულებაა იესო ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევის, მისი მკვდრეთით აღდგომისა და ჩვენი ხსნის საქმეთა აღსრულების გამო.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!

**გიული ლიპარტია**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ინფორმაცია

## პატრიარქი ასი ჩვილის ნათლია გახდება

**აღდგომის შემდეგ, ბრწყინვალე შვიდეულში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 100 ჩვილს მონათლავს.**

ამის შესახებ ყოვლად წმინდა სამებასთან არსებული ახალგაზრდული ცენტრიდან იტყობინებიან.

საკუთარი შვილის ნათლიად პატრიარქის ყოფნის სურვილი რამდენიმე ასეულმა ოჯახმა გამოთქვა. მოსანათლი ბავშვების სიმრავლის გამო მათი ნათლობა ნაწილ-ნაწილ მოხდება.

როგორც ცენტრში აცხადებენ, ბრწყინვალე შვიდეულში კონკრეტულად თუ როდის მოხდება ჩვილთა მეორე ნათლობა, ამაზე განცხადებას პატრიარქი მოგვიანებით გააკეთებს.

პირველი ნათლობის დროს კათოლიკოს-პატრიარქი 500-ზე მეტი ბავშვის ნათლია გახდა. პატრიარქის მიერ ჩვილთა პირველი ნათლობა ნათლისღების დღეს მოხდა. ილია მეორის ნათლული ის პატარა ხდება, რომელიც ჯვარდაწერილი მშობლების ოჯახში მესამე და მეტ შვილს წარმოადგენს.

## მესტიაში სათხილამურო კურორტი გვექნება

**როგორც გარემოს დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ღვალაძემ განაცხადა, საზაგირო გზისა და სათხილამურო ტრასის მშენებლობის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდიდან 10,0 ჰექტარი მიწის ფართობის ამორიცხვა მოხდება.**

ტურისტული კომპლექსის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთების პრივატიზებაც იგეგმება.

**ინტერპრესნიუსი**

მადლობა

## სიცოცხლე შემინარჩუნეს

**ამას წინათ სენაკის საფოსტო განყოფილებას მივაკითხე პირადი საქმის გამო. უცებ თავბრუ დამეხვა და გონი დავკარგე. თვალი რომ გავახილე, ვნახე, დივანზე ვიწექი. ჩემ წინ კი სახელიმილიანი ქალიშვილი იჯდა. წამოდგომა ვცადე, მაგრამ ახალგაზრდამ ნება არ მომცა – ცოტაც მოიცადეთ, სასწრაფო დახმარების მანქანა მოვაო. ის ახალგაზრდა მანდილოსანი ფოსტის მთავარი ბუღალტერი ნანა დარსალია აღმოჩნდა.**

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნანას და სასწრაფო დახმარების მთელ კოლექტივს, რომლებმაც დროულად აღმომიჩინეს სამედიცინო დახმარება და სოხუმიდან დევნილ მარტოხელა პენსიონერს სიცოცხლე შემინარჩუნეს.

**მიხეილ ლაცუზბაია.**
**სენაკი.**

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 30 აპრილს.

**იყიდება!**

5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ.

ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92.

ფასი შეთანხმებით.

ანეკდოტები

– ჩვენი ქორწინების მერეც თუ გეყვარები? – ეკითხება საცოლე მიხოს.

– ვფიქრობ, კი. მუდამ მიტაცებდნენ გათხოვილი ქალები.

* * *

– ყველაფრით ჩანს, რომ მშვენიერი დღე გათენდება, – ეუბნება ფანჯარასთან მდგარი ქმარი ცოლს.



– და მერე რა?

– რა და, ერთხელ ხომ თქვი, ერთ მშვენიერ დღეს შენგან წავალო?

* * *

მაიმუნის ნაშიერისგან მხოლოდ მაიმუნი გამოვა, გოჭი ღორად გაიზრდება, ჩოჩორი – ვირად, თიკანი – თხად... ბავშვისგან კი შეიძლება ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი გამოვიდეს...

* * *

– თქვენს ქალიშვილს ისე ვერ შევირთავ, სანამ არ ვნახავ შიშველს, ისეთს, როგორიც ღმერთმა შექმნა, – ეუბნება ტიპი საცოლის მშობლებს.

ისინი დიდხანს ყოყმანობდნენ, მაგრამ ბოლოს დაყაბულდნენ.

საქმრო დიდხანს ყურადღებით ათვალიერებდა საცოლეს, მერე კი თქვა:

– მე მას ცოლად ვერ შევირთავ. ძალიან დიდი ყურები აქვს.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.